ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 7 ოქტომბერი, 2016 №238 (7164) ფასი: 50 თეთრი

„რა კარგად მოქცეულან ქართველები, ღმერთთან მისვლა რომ დააგვიანეს“

გვ.5

7 ოქტომბრიდან ქართული ხალხური ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„კავკასიონზე არსებული 43 გადმოსასვლელიდან 25 რუსების ხელში გადავიდა“

გვ.2

გელა ხუციშვილი: „სომხური მოტომსროლელი ბრიგადა საქართველოს სიღრმეშია შემოსული“

გვ.3

ირაკლი ბათიაშვილი: „თავდაპირველად აფეთქების ინსცენირების ობიექტად დავით ბაქრაძე მოიაზრებოდა“

ოქრუაშვილი: „იყო დრო, როცა კალაძე ფეხსაცმელებს მიწმენდდა“

გვ.2

ლუკა კურტანიძე: „ნაციონალებმა გივი თარგამაძე გაწირეს“

გვ.3

აზერბაიჯანში იმპორტზე საბაჟო ტარიფის ზრდა ქართულ პროდუქციას არ შეეხება

გვ.4

გელა ნიკოლაიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების დირექტორი არ უნდა იყოს“

გვ.4

კონგრესმენი გერი კონოლი: „საქართველოში ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემის ტრადიცია უნდა დამკვიდრდეს“

ე.წ. სამხრეთ ოსეთი 8 ოქტომბერს საქართველოსთან ადმინისტრაციულ საზღვარს ჩაკეტავს

გვ.5

გვ.6

გვ.3

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა რეგიონული უსაფრთხოების მეორე საერთაშორისო ფორუმში მიიღეს მონაწილეობა

ISSN 1987-9385

აფხაზეთი: დრანდის იზოლატორიდან 3 პატიმარი გაიქცა

გვ.7

„კავკასიონზე არსებული 43 გადმოსასვლელიდან 25 რუსების ხელში გადავიდა“

გელა ხუციშვილი: „სომხური მოტომსროლელი ბრიგადა საქართველოს სიღრმეშია შემოსული“

შორენა მარსაგიშვილი

გელა ხუციშვილი

რა ხდება საქართველოს საზღვრებზე, ვინ დაეპატრონება დაცლილ სოფლებს, ვისი ჩამოსახლება იგეგმება ლაზიკაში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დამოუკიდებელი ექსპერტი სასაზღვრო საკითხებში **გელა ხუციშვილი** ესაუბრება.

– თქვენ წლების განმავლობაში იყავით სასაზღვრო ძალების სარდლის მოადგილე და დიდხანს მუშაობდით სახელმწიფო საზღვრის დადგენაზე. ახლა ეს საკითხი გაჩერებულია. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– საზღვრებთან დაკავშირებით საკმაოდ მძიმე ვითარებაა. უამრავი ობიექტური მიზეზის გამო საზღვრების თემა უყურადღებოდ არის მიტოვებული. დღეს მთავარი ყურადღება ოკუპაციის საკითხზეა გადატანილი.

– ესეც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

– არ ვდავობ, მაგრამ საკითხს ცოტა სხვანაირად უნდა მივუდგეთ. ეს არის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გავლებული მავთული და ის არ უნდა გავაიგივოთ სახელმწიფო საზღვართან.

ჩვენ გაეროს მიერ ცნობილი ვართ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ტერიტორიების სივრცეში. სახელმწიფო საზღვრებად უნდა ავიღოთ ეს მოცემულობა. ამიტომ, ოკუპაცია კი არ უნდა ვთქვათ, არამედ სახელმწიფო საზღვრის დარღვევა ამა თუ იმ მონაკვეთზე.

ერთი რამე უნდა გავითავისოთ და ევროაზიურ და ევროატლანტიკურ კავშირებზე ფიქრს შევეშვათ. საქართველოს არ უნდა ჰყავდეს მუდმივი მტრები და მეგობრები. მას უნდა ჰქონდეს მუდმივი ინტერესები.

მინდა ვკითხო ქართველ პოლიტიკოსებს, რა არის საქართველოს მუდმივი ინტერესები? მთავარია ტერიტორია, რასაც მეზობელი ქვეყნები მუდმივად გვედავებიან.

დავკარგავთ ტერიტორიას, აღარ ვიქნებით ერი და ვიქნებით ეროვნება. ასეთ დღეში არიან ჩავარდნილი დღეს ქურთები, ასირიელები და უამრავი სხვა ერი. ისინი ოდესღაც ძალიან დიდი სახელმწიფოების მფლობელები იყვნენ. მე თუ მკითხავთ, საქართველოს აეროპორტებსა და პორტებში უნდა დაიდგას ფეხის საფხეკები.

– ეს რა საჭიროა?

– აქედან რომ გადის ადამიანი, მტვრადაც რომ არ გაიტანოს საქართველოს მიწა. ახლა ქართული მიწა უმოწყალოდ გადადის სხვათა და სხვათა ხელში. გლეხებს დასაქმების ერთადერთი საშუალება აქვთ – მიწა, რაც მათ ხელში აღარ არის.

დაფიქრება გვმართებს, ან ვიღაც უგუნური, ან ძალიან ჭკვიანი გვიცლის სოფლებს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ სოფლებს თავისი ნებით კი არ ტოვებს ხალხი, არამედ მათ იქიდან მიზანმიმართულად უშვებენ?

– ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში სოფლები დაიცალოს. ჩვენი პოლიტიკოსები და ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველებით დასახლებული სოფლების დაცლაზე ამახვილებენ. მე ასე არ ვფიქრობ. ჩემთვის ყველა სოფლის დაცლა მტკივნეულია და მნიშვნელობა არ აქვს, მისი მცხოვრებლები რომელ ეროვნებას წარმოადგენენ.

მიწის გაყიდვამ ისეთი სახე მიიღო, იმის შიშიც გამიჩნდა, რომ ხევსურეთშიც კი გაიყიდება მიწა.

– ხევსურები თავიანთ მიწას ვინმეს მიჰყიდიან?

– ახლა არა. აბა, ვინმე დედიმისის შვილია და პირიქითა ხევსურეთში მიწას ხელი დაადოს. მართალია, იქ აღარ ცხოვრობს ხალხი, მაგრამ ხევსურები ამ ამბავს შეეწირებიან და არ დათმობენ. ხვალ ეს მიწა მათ საკუთრებაში გადავა. გავა პერიოდი და მისი შვილი ან შვილიშვილი გაყიდის. მაშინ მართლა დავიღუპებით და დავიქცევით.

ხევსურეთის თემა ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. სოფელ ფიჭვების დაკარგვა ჩემთვის დღემდე მოუნელებელი ტკივილია.

– ამ სოფლის დაბრუნება არ შეიძლება?

– სამწუხაროდ, მისი დაბრუნების პერსპექტივა არ ჩანს. არღუნისა და არაგვის შესართავიდან 1.500 მეტრი იყო საქართველოს საზღვარი. მავანმა და მავანმა 1999 წლის 19-20 მაისში ოქმს მოაწერა ხელი ისე, რომ ადგილზე დათვალიერება არ უწარმოებია. დაფიქსირდა, რომ მიჯნა საზღვრებს შორის გადიოდა 750 მეტრზე. ეს თითქოს არაფერია, მაგრამ პერიმეტრზე ამან 10 კილომეტრი შეადგინა. ეს იყო ყველაზე მოწყვლადი ადგილი – გადასასვლელი ასას ხეობაში, რომელიც მანამდე არ კონტროლდებოდა. ამიტომაც იყო ის რუსებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი.

მწარედ მახსოვს, როცა ჩვენი მესაზღვრეები მავანთა სისუსტის გამო უკან წამოვიდნენ, რუსებმა ცინიკურად გვითხრეს, რამდენი უკან დაიწევთ, იმდენს ჩვენ დავიკავებთ საზღვრის მონაკვეთებსო. ასე შეიძლება რუსები დათვისჯვრის უღელტეხილამდე მოვიდნენ.

– ამბობენ, ანატორს მოადგნენ და ჩვენი საგუშაგოდან რუსი მესაზღვრეების დანახვა ჭოგრიტის გარეშე შეიძლებაო.

– იქვე არიან და, კაცმა არ იცის, როდის გადაწყვეტენ აქეთ გადმოსვლას. ასეთივე მძიმე ვითარებაა თრუსოს ხეობასა და მლეთის ზედა გადასასვლელებზე. მწვერვალებზე რა ხდება, საერთოდ არ ვიცით.

საზღვრების დადგენას ვინ ჩივის, დღემდე საქართველომ ვერ გაარკვია, რომელი სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეა. თუ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეები ვართ, მაშინ იმ შეთანხმებით უნდა ვიმოქმედოთ, რომელიც საქართველომ 1920 წელს გააფორმა რუსეთთან. თუ მეორე რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეები ვართ, ამ შემთხვევაში 1937 წელს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე უნდა ველაპარაკოთ მოსკოვს.

– მთავარი ყურადღება რუსეთის მიმართულებას ეთმობა, მაგრამ არც სხვა მეზობლებთან გვაქვს საზღვრები დადგენილი. სომხეთთან და აზერბაიჯანთან რა ვითარება გვაქვს?

– აზერბაიჯანთან საზღვრების თემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, მაგრამ მდინარე ალაზანი გვიქმნის პრობლემას. ათასჯერ დავაყენეთ საკითხი, რომ ალაზანზე საზღვარი სწორად არ არის გავლებული.

თუ ჩვეულებრივი მდინარეა, აიღება მისი ღრმა წერტილები, დაიდგმება იქ ნიშნულები. მერე მდინარემ როგორც არ უნდა შეიცვალოს კალაპოტი, საზღვარი უცვლელი რჩება. დაუშვეს ძალიან დიდი შეცდომა, როცა ალაზანი გამყოფ მდინარედ ჩათვალეს. ერთ დღესაც ალაზანი გადმოვარდა აქეთა მხარეს (ვინ შეუწყო ამას ხელი, ეს მეორე საკითხია) და ერისიმედი აღმოჩნდა იქითა მხარეს.

გავიხედოთ, რა ხდება წითელ ხიდთან. ვალერი ჩხეიძის დროს 7 კილომეტრის დელიმიტაცია მოვახდინეთ. მითხრას ვინმემ, რატომ დგას ბაბაქარის ქედზე სომხეთის მოტომსროლელი ბრიგადა, რომელიც საქართველოს სიღრმეშია შემოსული.

– ყველაზე რთული ვითარება რომელ მიმართულებაზეა?

– ყველაზე მწვავედ საქმე აჭარის რეგიონშია.

– მანდ ხომ დადგენილი იყო სახელმწიფო საზღვარი?

– ერთადერთი ეს მონაკვეთი იყო, სადაც სახელმწიფო საზღვარი დადგენილი იყო. ამიტომაც არის ჩემთვის ბევრი რამე გაუგებარი. ვერ ვიგებ, რატომ ხდება მიწების გადაცემა და სხვა ქვეყნის მოქალაქეთა რიცხოვნობის ხელოვნური გაზრდა.

საზღვრის დადგენა ვახსენეთ და მინდა, მოწიწებით გავიხსენო დიდებული კაცი, ჯანსუღ კეკელია, რომლის ცოდნის გამოყენებაც არ მოხდა. ის ჩვენი საზღვრების უბადლო მცოდნე გახლდათ. ამ საქმეში სპეციალისტები აღარ გვყავს. ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მე ვარ, ვისაც კიდევ რაიმე გაეგება. მეც რომ წავალ, მერე დამთავრდება ეს ამბავი.

– რატომ უნდა დამთავრდეს, დოკუმენტები ხომ არსებობს?

– ქაღალდებზე და ინტერნეტში რაც იწერება, ყველაფერი ექვემდებარება გასწორებას. მეხსიერებით რასაც ატარებ, ეს სულ სხვაა.

როდესაც საზღვრებზე მიდის საუბარი, მთავარი ყურადღება სახმელეთო საზღვარს ეთმობა. საქართველოში აღარავის ახსოვს, რომ ჩვენ საზღვაო საზღვარიც გვაქვს. სახმელეთო საზღვრისა არ იყოს, აქაც კატასტროფული ვითარებაა.

– ზღვაზე რა ხდება?

– კატასტროფა ხდება. საქართველო ერთადერთი საზღვაო ქვეყანაა, რომელსაც კონტინენტური შელფი თავის სივრცეში არ ჰყავს შეტანილი. ეს არის 7.000 კვ.კმ. არადა, კონტინენტური შელფი ჩვენთან დაბალია.

– ეს რამეს ცვლის?

– ბევრ რამეს. იქ, სადაც შელფი დაბალია, მზის სხივი აღწევს და ძალიან მდიდარია ზღვის მცენარეებით. შესაბამისად, უზარმაზარი ბიორესურსებით არის სავსე. გეკითხებით, ვისა აქვს საქართველოში თევზჭერაზე გადაცემული ექსკლუზიური უფლება? რატომ უნდა იყოს ეს სფერო თურქების ხელში, როცა ჩვენი პორტები საოკეანო ლაინერებით იყო სავსე. სად გაქრა ეს ყველაფერი. ყველაფერზე ხელი ავიღეთ.

საფრთხე კი არ გველოდება, ის დიდი ხანია, რაც თავს დაგვატყდა. ქვეყნის შიგნით ყველაფერს მოევლება, მაგრამ, საზღვრები ახლავე თუ არ გავმიჯნეთ, მათ აღარაფერი ეშველებათ.

ქვეყნის წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინეს, როცა დაანგრიეს სა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ოქრუაშვილი: „იყო დრო, როცა კალაძე ფეხსაცმელებს მიწმენდდა“

გუშინ ირაკლი ოქრუაშვილმა მასზე თავდასხმაში ბრალდებულის დაპატიმრების ფაქტზე ისაუბრა.

ქართული პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, პოლიციაც და პროკურატურაც აღნიშნულ სიტუაციაში საკმაოდ ადეკვატურნი იყვნენ.

ოქრუაშვილმა ასევე კახა კალაძის მიერ 5 ოქტომბერს გადაცემა „არჩევანში“ გაკეთებულ განცხადებას უპასუხა.

– თავს ვერ გავუყადრებ იმიტომ, რომ ლექსიკაში აშკარად უჭირს. იყო დრო, როდესაც ფეხსაცმელებს მიწმენდდა ორფოლოს პოლიგონზე. ასე რომ, არ დავიწყებ მასთან კინკლაობას. როგორც ჩანს, საკმაოდ მძიმე დღეები უდგას. აშკარად მისმა ხელმძღვანელებმა ყური აუწიეს, – განაცხადა ოქრუაშვილმა კურიერის პირდაპირ ეთერში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლუკა კურტანიძე: „ნაციონალებმა გივი თარგამაძე გაწირეს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ლუკა კურტანიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში უნდა ჩამოვიდეს და წარდგენილი ბრალდების გამო პასუხი აგოს.

– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ არჩევნებს მოიგებს და მის დასაცავად საქართველოში მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა. შეიძლება, მოვლენები ასე განვითარდეს?

– ეს გამორიცხულია, შეუძლებელია, რადგან ნაციონალურ მოძრაობას მხარდაჭერა არ გააჩნია. ჩვენ უკვე ვნახეთ ეს ადამიანები ხელისუფლებაში და ვიცით, თუ როგორია მათი მართვის სტილი. ძალადობაზე დამყარებულ მართვაზე ქართველმა ხალხმა უარი თქვა. მათ უნდათ, რომ შიშის სინდრომი დათესონ ხალხში. 8 ოქტომბერს ქართველი ხალხი მათ საბოლოოდ უარს ეტყვის.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილსა და მის ჩამოსვლას, როგორც ცნობილია, ის ბრალდებულია და, თუ ჩამოვა, მას სახელმწიფო ადეკვატურ პასუხს გასცემს. მე ვირჩევდი, რომ ჩამოვიდეს და ჩადენილი დანაშაულის გამო საქართველოს ციხეში აგოს პასუხი, მოიხადოს წარდგენილი ბრალდება, თუმცა ამაზე შეუძლებელია, სააკაშვილი ფიქრობდეს, მისი ბუნებიდან გამომდინარე. ის კვლავ იმაზე ფიქრობს, როგორ დათესოს ხალხში შიში.

– და ეს რაში აწყობთ?

– იმაში, რომ მათი მხარდამჭერების მობილიზება მოახდინონ. ამ შემთხვევაში ახალი არაფერია. ვხედავთ, თუ რა განზრახვები აქვთ, მაგრამ რამდენიმე დღეში ქართველი საზოგადოება მათ საბოლოო განაჩენს გამოუტანს.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ვერც პარლამენტში მოხვდებიან. არ მოეწონათ ის შეფასებები, რომლებიც გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, რომ შეხანიშნავი, ისეთი წინასაარჩევნო გარემოა, როგორიც ჯერ არ ყოფილა საქართველოში, ამიტომ ნახეთ, რაც მოხდა, რომ როგორმე მუქ ფერებში წარმოეჩინათ წინასაარჩევნო გარემო, რომ როგორმე ეთქვათ დანარჩენი მსოფლიოსთვის, ნახეთ, რას გვიშვრება ხელისუფლება ოპოზიციასო.

– გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებას გულისხმობთ?

– დიახ. ნაციონალური მოძრაობის ხელწერა არ არის ახალი. საზოგადოება მიჩვეულია მათ მსგავს ქმედებას, მსგავს ძალადობას. ახლა ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ის მინიმალური მხარდაჭერა, რომელიც აქვს, მივიწყებას არ მიეცეს და ეს ხალხი როგორმე გამოიყვანოს და საარჩევნო ურნებთან მიიყვანოს.

– ნაციონალური მოძრაობა მომხდარი აფეთქების საქმის გადაკვალიფიცირებას ითხოვს. თქვენი პოზიცია როგორია?

– ეს მთლიანად ძალოვანი უწყების პრეროგატივაა. მე რამდენადაც ვიცი, საქმის გამოძიება მიმდინარეობს და, იმედი მაქვს, ჩვენი ძალოვანი უწყებები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს საქმე გახსნან, მაგრამ მე შემიძლია მხოლოდ ერთი რამ გითხრათ – გივი თარგამაძე არ არის ცოტნე დადიანი, რომ იმხელა გმირობა ჩაედინა, საკუთარი თავი მსხვერპლად შეეწირა.

– თქვენი ვერსია როგორია?

– ყურადღების მიქცევის, სიტუაციის დაძაბვისა და ესკალაციის მიზნით ნაციონალებმა გადაწყვიტეს, თარგამაძე გაეწირათ. ძალადობა და მსგავსი სცენარები ნაციონალური მოძრაობისთვის, მიხეილ სააკაშვილისთვის ახალი არ არის. ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

– ბატონო ლუკა, თქვენ 26 მაისის მოვლენების ერთ-ერთი დაზარალებული ხართ. ხომ არ ფიქრობთ, რომ გამოძიებამ დაიგვიანა, სამართლიანობის აღდგენა, როგორი მოლოდინიც იყო დაზარალებულ ხალხში, ისე ვერ მოხდა?

– დიახ, მე ნამდვილად ვარ წინა ხელისუფლების რეჟიმის მსხვერპლი. ეს არ არის მარტივი და ასე ადვილად სათქმელი, მაგრამ, ვფიქრობ, ის არის წარსული და მომავლისკენ უნდა გავიხედოთ, ჩვენი ქვეყნის მომავლისკენ. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ნელ-ნელა, იმ ტემპებით, რა ტემპებითაც ეს შესაძლებელი იყო, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ათასობით საქმეა პროკურატურაში გამოსაძიებელი, მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენა.

ბოლომდე ამის გაკეთება, ალბათ, შეუძლებელიც არის და ვერცერთი ხელისუფლება ამას ვერ შეძლებს, რადგან აქ საუბარია ადამიანების, ახალგაზრდების მკვლელობაზე, გაუპატიურებაზე, საშინელ დანაშაულებზე. ამიტომ, როდესაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერები საუბრობენ იმაზე, თუ როგორ უნდა მობრუნდნენ ხელისუფლებაში, მხოლოდ მეცინება.

ირაკლი ბათიაშვილი: „თავდაპირველად აფეთქების ინსცენირების ობიექტად დავით ბაქრაძე მოიაზრებოდა“

უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ბათიაშვილმა „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე დეპუტატ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების ფაქტზე ისაუბრა.

როგორც ბათიაშვილი ამბობს, არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, აფეთქების ობიექტად თავდაპირველად ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე მოიაზრებოდა, საბოლოოდ კი არჩევანი გივი თარგამაძეზე შეაჩერეს.

– არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა ასეთი აფეთქება, ხდებოდა შერჩევა ობიექტების, პირების, ვინც უნდა ყოფილიყო აფეთქების ინსცენირების ობიექტი და ერთ-ერთ ასეთ ობიექტად დასაწყისში ფიგურირებდა დავით ბაქრაძე. ეს თავად დავით ბაქრაძემ იცის თუ არა, მე არ ვიცი, მაგრამ თავიდან ლაპარაკი იყო დავით ბაქრაძეზე და, როგორც ჩანს, მერე „კასტინგი“ საბოლოოდ გივი თარგამაძეზე შეჩერდა, – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

ბათიაშვილის თქმით, გამოძიება დაადგენს რეალურ მიზეზებს და იყვნენ თუ არა თარგამაძე და მისი მძღოლი ამ ყველაფრის საქმის კურსში.

– ენერგიულად და კვალიფიციურად წარმართული გამოძიებისთვის ნამდვილად არანაირ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ამ საგანგაშო დანაშაულებრივი ქმედების გახსნა, – განაცხადა ბათიაშვილმა.

მისი აზრით, ყველაფერი იმდენად ხელისგულზეა და იმდენად ყველაფერი აშკარა და ნათელია, რომ ეს იძლევა სერიოზული ვარაუდისა და გონივრული ეჭვის საფუძველს, რომ საქმე გვაქვს გივი თარგამაძის აფეთქების მცდელობის ინსცენირებასთან.

– სხვა საკითხია, თავად ბატონი გივი თარგამაძე და მისი მძღოლი საქმის კურსში იყვნენ თუ არა. ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, მაგრამ ფაქტი არის ერთი, რომ საქმე გვაქვს სწორედ აფეთქების ინსცენირებასთან, – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

მისი თქმით, აფეთქების ინსცენირება ითვალისწინებდა, რომ შეიძლება დაშავებულიყვნენ უბრალო მოქალაქეები, გამვლელ-გამომვლელები.

– შეიძლება, ეს ითვალისწინებდა, რომ მსხვერპლიც ყოფილიყო. ჩვენ ვიცით, რომ ერთ-ერთი მოქალაქე დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, – აღნიშნა ირაკლი ბათიაშვილმა.

ის ფიქრობს, რომ ამ აფეთქების შესახებ შეიძლება ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრები საქმის კურსში არ იყვნენ და ეს აფეთქება დაკავშირებული იყოს უფრო ვიწრო წრესთან, რომელიც სააკაშვილთან ერთად დესტაბილიზაციის გეგმაზე დიდი ხანია მუშაობს.

– ის ძალა, რომელმაც დაგეგმა ეს აფეთქება და განახორციელა, თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ცხადია, არანაირი ავანტიურისტული გეგმებიდან უკან არ დაიხევს. ამ ყველაფერზე შესაბამის სამსახურებს მართებთ ყურადღების გამახვილება არჩევნებამდეც და არჩევნების შემდგომაც, – განაცხადა უშიშროების ყოფილმა მინისტრმა.

მისი აზრით, ეს აფეთქება დიდი ხანია იგეგმებოდა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთ პროცესს.

– შეიძლება ნაციონალური მოძრაობის 90 პროცენტმა არც იცოდეს და ცხადია, ვერც ეცოდინებათ, იმიტომ, რომ ეს არის უაღრესად კონსპირირებული და გასაიდუმლოებული, – აღნიშნა ირაკლი ბათიაშვილმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა რეგიონული უსაფრთხოების მეორე საერთაშორისო ფორუმში მიიღეს მონაწილეობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა თბილისის რეგიონული უსაფრთხოების მეორე საერთაშორისო ფორუმში: „ბირთვული და რადიოლოგიური გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში: მიზეზები, შედეგები და საპასუხო ზომები“ მიიღეს მონაწილეობა.

საერთაშორისო ფორუმი, რომელიც ორ დღეს გაგრძელდება, შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებმა და დონორი ქვეყნების მისიების წარმომადგენლებმა გახსნეს. ფორუმის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი მანანა ბაღაშვილი.

წლევანდელი ფორუმის მიზანია, წარმოაჩინოს და განიხილოს რეგიონში ეროვნული სახელმწიფოების კონტროლს მიღმა დარჩენილი ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეები და მათი უარყოფითი ზეგავლენა საერთაშორისო ბირთვულ უსაფრთხოებაზე.

ფორუმი ასევე მიზნად ისახავს, განსაზღვროს პოტენციური საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ბირთვული და რადიოლოგიური ტერორიზმის საფრთხის შემცირება.

– საკითხი ძალიან აქტუალურია და მოითხოვს ძლიერ რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას. საქართველოსთან უკვე რამდენიმე წელია ვთანამშრომლობთ და შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ქბრბ რისკების შემცირების კუთხით საქართველოს როლი, როგორც ლიდერის და მოდელის მთელი რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც სამოქმედო გეგმა შეიმუშავა და საქართველოს ლიდერობა გამოჩნდა ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებზე, როგორიც არის გაეროს გენერალური ასამბლეა, – განაცხადა გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების რეგიონთაშორისი კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელმა ფრანჩესკო მიორინიმ.

აღნიშნული ფორუმის მხარდამჭერები არიან: შვედეთის მთავრობა – რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ბრიტანეთის ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილებების დეპარტამენტი და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მხრიდან კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ეროვნული სააგენტო.

ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ბირთვულ და რადიაციულ სფეროში მომუშავე როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები და ოფიციალური პირები აშშ-დან, ევროპიდან და შავი ზღვის რეგიონიდან. მონაწილე ქვეყნები ჩართული არიან „ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების“ ყოველწლიური მიმოხილვის პროცესში, ასევე აქტიურად მონაწილეობენ ბირთვული უსაფრთხოების სამიტში.

ფორუმის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ეროვნულ და საერთაშორისო აქტორებს, გააღრმავონ დიალოგი და თანამშრომლობა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

გელა ნიკოლაიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების დირექტორი არ უნდა იყოს“

ნონა ცაბაძე

საკონსტიტუციო სასამართლო ახალი თავმჯდომარის მოლოდინშია. კანდიდატს მხარი მინიმუმ სამმა მოსამართლემ უნდა დაუჭიროს, ხოლო თავმჯდომარედ არჩევას ხუთი მოსამართლის ხმა სჭირდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** პასუხობს.

– ბატონო გელა, საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს. ამბობენ, რომ საკმაოდ ბევრი საქმე დაგროვდა და სასამართლო მათ განხილვას ვერ ახერხებს. რას ფიქრობთ საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, შეიცვლება მისი მუშაობის სტილი უკეთესობისკენ?

– ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გააქტიურდა საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა. იმედია, ეს გააქტიურება გაგრძელდება, ოღონდ უფრო მეტად განვითარდება. იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამ შემთხვევაში დომინანტი, წამყვანი იქნება სამართლებრივი საკითხები და ყველა განსახილველ სარჩელს პოლიტიკური საფუძვლები გამოეცლება.

– სულ საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სერიოზული წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. რამდენად რეალურად მიგაჩნდათ ეს განცხადებები და, თუ ასე იყო, რატომ არ მოჰყვა ამას სათანადო რეაგირება?

– მე არცერთი ასეთი ფაქტი დადასტურებული არ მინახავს. ძნელია, ორღობის ჭორებზე სერიოზული შეფასებები აკეთო.

– გამორიცხავთ, რომ მსგავს ქმედებებს ადგილი ჰქონოდა?

– ეს არ დამტკიცებულა და, რაც არ მტკიცება, ე.ი. ის არ არსებობს. უფრო დამაჯერებელი მტკიცებულებები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და ასეთ შემთხვევაში უფრო მეტად ენდობოდა ამას საზოგადოება. როგორც წესი, ჩვენთან ყველაფერი პოლიტიზებულია და, ვინმეზე წნეხი რომც არ განეხორციელებინათ, ეს პოლიტიზებული ატმოსფერო ზეწოლას ახდენს მოსამართლეზეც და ყველა სხვა პირზეც.

მე ერთ მაგალითს გეტყვით: სასამართლოებს უფლება აქვთ, წარდგინებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და ჰკითხონ – როგორ განვმარტოთ, პრაქტიკაში როგორ დავნერგოთ ესა თუ ის მუხლი? ბოლო პერიოდში სასამართლომ ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება და ამ დროს საერთო სასამართლოები ამას ვერ იყენებდნენ.

– რატომ ვერ იყენებდნენ?

– იმიტომ, რომ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით არ შეიძლება განაჩენის გამოტანა, თუმცა, როდესაც ჩვენ შევიტანეთ ახლად გამოვლენილ გარემოებათან დაკავშირებით, რომ განაჩენი ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით იყო გამოტანილი, მოსამართლეები გვეუბნებოდნენ, რომ ამას ვერ განიხილავდნენ, რადგან ძველ კოდექსში სიტყვა ირიბი ჩვენება არ არის. უზენაესმა სასამართლომ შეკითხვით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს – რა ვქნათ?

– რა იყო საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი?

– თითქმის ერთ წელიწადზე მეტი გავიდა და საკონსტიტუციო სასამართლომ არ აღირსა ამაზე პასუხი, არადა, რამდენი პატიმარი ელოდება ამას, ხოლო ისეთი საქმეები, რომლებიც გახმაურებული და პოლიტიზებული იყო, საათებში განიხილებოდა და წყდებოდა.

– რატომ არ მიიღეს გადაწყვეტილება ამ საკითხზე, იმიტომ, რომ ვიღაცის ინტერესში არ შედიოდა?

– ეტყობა, არ შედიოდა. აბა, ეს სხვა რით უნდა ავხსნა!

– თავადვე აღნიშნეთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წინა წლებში ასეთი დიდი დატვირთვა არ ჰქონია, როგორც ბოლო პერიოდის განმავლობაში. ამას რით ხსნით?

– უფრო გააქტიურდა მიმართვები. როდესაც საერთო სასამართლოებში ვერ აღწევდნენ მხარეები შედეგს, მათ ჩათვალეს, რომ ესა თუ ის მუხლი იყო არაკონსტიტუციური. კონსტიტუცია უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებდა, ეს მუხლი არ შეესაბამებოდა, ამიტომ, ერთადერთი ორგანო, რომელიც ამ დავას გადაწყვეტდა, იყო საკონსტიტუციო სასამართლო.

სწორადაც გააკეთეს, რომ აქტიურად მიმართეს, თუმცა, მე მგონია, რომ ადრეც მიმართავდნენ აქტიურად, უბრალოდ, საკონსტიტუციო სასამართლო თვეობით და წლობით აჭიანურებდა გადაწყვეტილების გამოტანას, ხოლო ბოლო პერიოდში გახმაურებულ და პოლიტიზებულ საქმეებზე ძალიან აჩქარდა.

– დღეს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ თავმჯდომარის არჩევის საკითხი დაჩქარებული წესით მიდის. თქვენც ასე ფიქრობთ?

– მე როგორც ვიცი, ორი კვირის ვადაში უნდა მოხდეს არჩევა. ერთი კვირა უკვე გავიდა. არ არის მითითებული, რომ მაინცდამაინც მეორე კვირის ბოლოს უნდა აირჩიონ. კანონი ითვალისწინებს, რომ თუნდაც მეორე და მესამე დღეს აერჩიათ. არ ვთვლი, რომ ეს ხელოვნური პროცესი იყოს.

– კანდიდატებზე რის თქმა შეგიძლიათ? რა შეიცვლება, რის იმედი გაქვთ?

– საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე სამი ახალი მოსამართლე ჰყავს. მე რამდენადაც ვიცი, მოსამართლედ ან პროკურორად არცერთს არ უმუშავია. პიროვნულად ურთიერთობა მე მათგან მხოლოდ ირინა იმერლიშვილთან მქონია და მხოლოდ დადებითი შემიძლია ვთქვა, თუმცა საქმეში არცერთი მათგანი არ გამომიცდია და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი. ვუსურვებდი, რომ იყვნენ მაღალკვალიფიციურნი და მიუკერძოებელნი.

რაც შეეხება თავმჯდომარეს, ვიტყოდი, რომ თავმჯდომარის როლი ხელოვნურად არის გაზრდილი. ის არ უნდა იყოს მოსამართლეების დირექტორი. ის უნდა იყოს ორგანიზატორი შეკრებებისა თუ გადაწყვეტილების მიღებისას.

– ანუ მითითებებს არ უნდა იძლეოდეს?

– დიახ, არ უნდა იძლეოდეს. თუ ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი თავმჯდომარე იქნება, მაშინ აღარ ექნება დიდი მნიშვნელობა, ვის აირჩევენ. სამი კანდიდატი სახელდება და მათგან ვინ უფრო მომზადებულია მენეჯერული თვალსაზრისით, ეს არ ვიცი.

უკეთესობის იმედი ნამდვილად მაქვს. ახალი მოსამართლეები დაინიშნნენ. მე არ მსმენია, რომ ისინი აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, ხოლო მათი წინამორბედები ნამდვილად პოლიტიკური წიაღიდან იყვნენ გამოსული. დიდი იმედი მაქვს, რომ წინა პლანზე სამართლებრივი პრინციპები იქნება წამოწეული და არა – პოლიტიკური.

კონგრესმენი გერი კონოლი: „საქართველოში ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემის ტრადიცია უნდა დამკვიდრდეს“



– საქართველო და აშშ უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს. ვაშინგტონს უფრო მეტად აშფოთებს აგრესიული რუსეთის როლი უკრაინასა და საქართველოში. აშშ-ის კონგრესი შეეცდება, გააღრმაოს და განავითაროს ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოს სუვერენიტეტის დაცულობა უზრუნველყოს, – აცხადებს ამერიკელი კონგრესმენი დემოკრატიული პარტიიდან გერი კონოლი, რომელიც იმავდროულად კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეა.

წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისას კონგრესმენმა გერი კონოლიმ თქვა:

– ყველა შემდგარმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და დაიცვას მოქალაქეთა ხმის უფლება. დემოკრატიაში არ უნდა იყოს ძალადობა, ამომრჩეველთა დაშინება, გაყალბება. საქართველოში უნდა დამკვიდრდეს ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემის ტრადიცია. ეს წამყვანი ელემენტებია, რომელიც დემოკრატიას არადემოკრატიული წყობისაგან განასხვავებს. დარწმუნებული ვარ, საქართველო სწორი მიმართულებით განვითარდება.

კონგრესმენი გერი კონოლი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის არჩილ გეგეშიძის გამოსამშვიდობებელ ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა. ცერემონია აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში გაიმართა.

კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე გერი კონოლიმ არჩილ გეგეშიძეს სამსახურისათვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ის ორმხრივ ურთიერთობებში წვლილს მომავალშიც შეიტანს.

ნიუსბრეიკი

„კავკასიონზე არსებული 43 გადმოსასვლელიდან 25 რუსების ხელში გადავიდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

საზღვრო უწყება და ის პოლიციის დანამატად გადააქციეს.

– ამ რეფორმაზე მუშაობა მაშინ დაიწყო, როცა თქვენ სასაზღვრო ძალების სარდლის მოადგილე იყავით. მაშინ თქვენც უჭერდით ამ იდეას მხარს.

– რეფორმა დავიწყეთ მე და ვალერი ჩხეიძემ. მოვინდომეთ, რომ პოლიციური სისტემა შეგვექმნა. მაშინ ამას ჰქონდა თავისი მიზეზი.

– რა მიზეზები?

– სამართალდამცავი სტატუსის შეძენის შემთხვევაში ევროპიდან მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას მივიღებდით. შემდეგ თავად ევროპაში შეიცვალა ვითარება. სასაზღვრო რეჟიმებს ამკაცრებენ. ჩვენ გარშემო არსებული სახელმწიფოები ცეცხლის ალშია გახვეული. სასაზღვრო უწყებაში სამხედრო კომპონენტის შემოტანა უკვე აუცილებელი გახდა. სახელმწიფო საზღვრები პრიორიტეტული უნდა იყოს.

– ახლა არ არის პრიორიტეტული?

– არსებობს სადელიმიტაციო სადემარკაციო კომისია. რომელსაც ივერი მრელაშვილი ხელმძღვანელობს. პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ, აბა ერთი ვნახოთ, ბოლოს როდის ჩაატარა კომისიის სხდომა.

ადრე ეს კომისია ძალიან აქტიურად მუშაობდა. ყველა მიმართულებას თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა. ამ კომისიის წევრების შეცვლა არ შეიძლება. რუსეთში კომისიის წევრი ერთადერთ შემთხვევაში იცვლება, თუ ის გარდაიცვალა. ამიტომაც არის, რომ ისინი საზღვრებზე არსებულ ვითარებას სრულყოფილად ფლობენ.

ჩვენ გარე საფრთხეებისგან მხოლოდ მკვეთრად გამიჯნული საზღვრები დაგიცავს. სასაზღვრო უწყებაში შესანიშნავი ადამიანები მუშაობენ დღეს, მაგრამ პროფესიონალიზმი აკლიათ. საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და აქ სასაზღვრო უწყებაში ნამდვილი პროფესიონალები უნდა მუშაობდნენ.

– კავკასიონზე არსებული გადმოსასვლელებზე რა ხდება? ადრე თქვენ გვითხარით, რომ რუსებმა მნიშვნელოვანი მიმართულებები ჩაიგდეს ხელში. ამ მხრივ ვითარება ხომ არ შეცვლილა?

– უკეთესობისკენ ნამდვილად არ შეცვლილა. აქ სრული კატასტროფა ხდება. კავკასიონის ქედზე 43 გადმოსასვლელი-უღელტეხილია. თავად კავკასიონის ქედი არის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი გამყოფი. 43 უღელტეხილიდან 25 სრულად არის გადასული რუსების კონტროლის ქვეშ. ცოტა ხნის წინ ყველა მათგანს ჩვენ ვაკონტროლებდით.

– ამ უღელტეხილებს რამდენად სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს?

–ჩვენთვის ყველა მათგანი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ აქაც არის კატეგორიები. ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ზოგი მათგანი 3 თვეა მარტო ღია, ზოგიც – 4. მამისონი და მარუხი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მარუხის უღელტეხილის დასაკავებლად, რომელიც კოდორის ხეობაშია, გერმანიამ თავის დროზე „ედელვაისის“ ჯარები მიაწყვიტა. მამისონის უღელტეხილი რუსებს 2008 წლის ომის დროს გადაეცა. ეს არის სამშობლოს ღალატი და ამის გამკეთებლები ძალიან მკაცრად უნდა დაისაჯონ.

არანაკლებ საფრთხის შემცველია ლაზიკის მშენებლობის საკითხიც. ამ ქალაქის აშენების იდეა შემთხვევით არავის გასჩენია. ქვეყანა მოსახლეობისგან დაცლილია და ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რა საჭიროა ასეთ დროს ახალი ქალაქის აშენება. საქმე ის გახლავთ, რომ ის ხალხი უკვე ნაპოვნია, ვისაც იქ ჩაასახლებენ. ლაზიკაში თურქი-მესხები უნდა ჩაასახლონ. ამისთვის საერთაშორისო თანამეგობრობას ფული უკვე გამოყოფილი აქვს.

„რა კარგად მოქცეულან ქართველები, ღმერთთან მისვლა რომ დააგვიანეს“

რას წერს „დოიჩე ველე“ საქართველოზე

ზოგჯერ ისეთ ქვეყანაში მოხვდები, რომელიც ტურისტებისთვის უცნობ, იდუმალ ადგილად ითვლება და საკუთარ თავს ეკითხები, რა მინდა აქ, რატომ ჩამოვედი? სწორედ ასე მოუვიდა „დოიჩე ველეს“ ჟურნალისტ კერსტინ პალცერს, რომელიც ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარე ქვეყანას ეწვია.

გთავაზობთ გერმანელი ჟურნალისტის საქართველოში ვიზიტის შთაბეჭდილებებს, რომელიც მან „დოიჩე ველეში“ გამოაქვეყნა.

– როცა უფალი ღმერთი ადამიანებს მიწებს უნაწილებდა, ქართველებმა დააგვიანეს და მამაზეციერთან მაშინ მივიდნენ, როცა ყველაფერი განაწილებული იყო. უფალი შეეკითხა, სად იყავით, რატომ დროზე არ მოხვედითო. ქართველებმა უპასუხეს, სუფრა გვქონდა გაშლილი, ვმხიარულობდითო (ქართველებს დროსტარება ძალიან ეხერხებათ!). ღმერთს მოეწონა მათი გულწრფელობა და თქვა, თქვენნაირი გულღია და მხიარული ხალხი ბოროტი არ იქნება, ერთი მთაბარიან-ზღვიანი ადგილი მქონდა ჩემთვის შენახული და თქვენთვის მიჩუქნიაო. აი, ასე შეხვდათ ქართველებს მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანა.

ამ ისტორიას შორენა, ჩვენი გიდი, მოგვიყვა ავტობუსში, როცა ჩვენი ჯგუფი თბილისის აეროპორტიდან დედაქალაქში მიდიოდა. შორენა გერმანისტია და თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული. მან საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი გაგვაცნო, დასავლეთი კი, ბათუმის ჩათვლით, შემდეგი მოგზაურობისთვის შემოვინახეთ (ალბათ, მალე ვეწვევით!).

ჩემი პირველი შთაბეჭდილება თბილისზე: ეს არის საოცრად თანამედროვე ქალაქი. თბილისში ბოლო წლებში ბევრი მინა-ბეტონის მაღალი შენობა გაჩნდა. განსაკუთრებით მინაა დიდ პატივში.

– მინისგან აგებული შენობები გამჭვირვალეა, გულღიაობის მაჩვენებელია, – ამბობს ექსკურსიამძღოლი შორენა და იქვე ღიმილით ამატებს:

– ჩინებულია, მაგრამ ჩვენს მზიან ქვეყანაში ცოტა არაპრაქტიკულიც.

თბილისში მილიონ ორასი ათასზე მეტი მცხოვრებია. ვიწრო ქუჩები და თანამედროვე საბაგირო გზა, ავსტრიელების მიერ აგებული. აქ ერთმანეთს საუკუნეები ენაცვლება. ყველგან შესანიშნავი რესტორნებია, რაც ხაზს უსვამს ქართული სამზარეულოს მნიშვნელობას.

გერმანელი ჟურნალისტი ყვება მტკვარზე, პატარა გემზე მოწყობილ რესტორანში ყოფნის შთაბეჭდილებებს: „ქართული ღვინო მდინარესავით იღვრება.. დაისი თვალწარმტაცია... მივსეირნობთ სანაპიროზე“.

ავტორი აღწერს ყაზბეგში ყოფნასაც:

– კავკასიის მთავარი ქედისაკენ სამხედრო გზით გავემგზავრეთ. ეს გზა საქართველოს რუსეთთან აკავშირებს. გზა ძირითადად კარგ მდგომარეობაშია, რელიეფის კვალობაზე, თუმცა ხანდახან ძროხები და ცხვრები გვხვდება. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ამ ადგილებში, მშვიდობიანი ცხოველები ხელს არავის უშლიან. ირგვლივ ულამაზესი ბუნებაა.

სტეფანწმინდაზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ ის დიდი მთის ძირას მიყუჟული პატარა ჩვეულებრივი ქალაქია.

„დოიჩე ველეს“ ჟურნალისტზე უფრო მეტი შთაბეჭდილება წმინდა სამების ეკლესიამ მოახდინა:

– შორენა გვიყვება, რომ ეს ეკლესია ქართველებისათვის წმიდათაწმიდაა. აქ მრავალი საუკუნის წინათ იკრიბებოდა უხუცესთა საბჭო, რომელიც თემის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა. სამლოცველო პატარაა და სიცხეში იქ ყოფნა ცოტა ძნელია. გარეთ გამოვედი და ხუთიათასმეტრიან მთას შევხედე. გასაოცარი გრძნობა დამეუფლა – თითქოს ვფრინავ კავკასიის მთების ქვემოთ, თავზე კი არწივი დამტრიალებს...

არაგვზე ტივებით დაცურება ხომ სასწაულებრივია. ჩვენს გამოცდილ გამყოლს, ზურას, ტივი ჩქერებზე გაბედულად გადაჰყავს. ასეთი ემოციების შემდეგ სუფრაზე კარგად მოვილხინეთ.

– საქართველო ცდილობს, დასავლეთისათვის გახსნილი იყოს. თბილისის აეროპორტიდან ქალაქისაკენ მომავალი ქუჩა აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სახელს ატარებს. ყველგან ევროკავშირის დროები ფრიალებს. ახალგაზრდა ქართველები ინგლისურად საკმაოდ კარგად საუბრობენ.



გერმანელებს საქართველოში ჩასვლა უვიზოდ შეუძლიათ. პრაქტიკულად ყველგან კარგი სასტუმროებია. ყაზბეგში ჩვენ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში გავჩერდით, შესაბამისი კომფორტით. აქ ძალიან ბევრია საინტერესო მარშრუტი, რომელიც სურვილისამებრ შეგიძლიათ შეარჩიოთ.

სტეფანწმინდაში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ამზადებენ ტრადიციულ ქართულ ცომის გუფთას, ხინკალს. აქვე ღვინის ბოკალით ხელში დატკბებით მთების პეიზაჟით. უნებურად გაიფიქრებთ: რა კარგად მოქცეულან ქართველები, ღმერთთან მისვლა რომ დააგვიანეს, – ასე ამთავრებს თავის შთაბეჭდილებებს გერმანელი ჟურნალისტი.

კახეთის მიმართულებით 180 კილომეტრამდე გზის მშენებლობაა დაგეგმილი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლამდე კახეთის მიმართულებით 180 კილომეტრამდე გზის მშენებლობა იგეგმება.

სამინისტროს ცნობით, გზების მშენებლობა განხორციელდება გურჯაანი (ჩუმლაყი)-თელავის შემოვლითი, ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი, თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხის, ბაკურციხე-წნორისა და წნორი-ლაგოდეხის მიმართულებებზე.

თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხის 80-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 180 მილიონი აშშ დოლარია.

სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტირების მოსამზადებლად.

– ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება 2017 წლის იანვარში დაიწყება, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება კი 2018-2020 წლებშია დაგეგმილი. საპროექტო სამუშაოებს მსოფლიო ბანკი აფინანსებს, – აღნიშნეს სამინისტროში.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებლად სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს ბაკურციხე-წნორის 16-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტისთვისაც. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 20 მილიონი აშშ დოლარია და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდება.

– საპროექტო სამუშაოები მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყება, უშუალოდ სამშენებლო სამუშაოები კი 2018-2019 წლებში განხორციელდება, – აღნიშნეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მათივე ცნობით, გურჯაანი (ჩუმლაყი)-თელავის შემოვლითი 30-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა, რომლის სავარაუდო ღირებულება 40 მილიონი აშშ დოლარია, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდება. პროექტის დასრულების შემდეგ თბილისი-ბაკურციხე-თელავი-ახმეტა-თიანეთი-ჟინვალი-თბილისის მიმართულებით ახალი წრიული მარშრუტი შეიკვრება.

– პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ოქტომბერში დაიწყება. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება კი 2018-2020 წლებშია დაგეგმილი. ამ ეტაპზე ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებლად სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს, – განაცხადეს სამინისტროში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, წნორი-ლაგოდეხის 40-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტზე, რომლის სავარაუდო ღირებულება 60 მილიონი აშშ დოლარია, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებლად სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება 2017 წლის იანვარში დაიწყება, სამშენებლო სამუშაოები კი 2018-2020 წლებში განხორციელდება. საპროექტო სამუშაოებს მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

რაც შეეხება ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზის 15,5-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობას, სამინისტროს ცნობით, სამშენებლო სამუშაოები 2016-2017 წლებში განხორციელდება.

– ამ დროისთვის მიმდინარეობს სატენდერო პროცედურების ბოლო ეტაპი – პროექტირება მშენებლობაზე. უახლოეს მომავალში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდება, – განაცხადეს სამინისტროში.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ე.წ. სამხრეთ ოსეთი 8 ოქტომბერს საქართველოსთან ადმინისტრაციულ საზღვარს ჩაკეტავს

– უშიშროების კომიტეტი ე.წ. სამხრეთ ოსეთში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მო-

ქალაქეებს აფრთხილებს, რომ 7 ოქტომბრის 20:00 საათიდან დროებით შეწყვეტს საზღვრის გაიოლებულ მონაკვეთზე ხალხის გატარებას. გამშვები პუნქტის მუშაობა ჩვეულ რეჟიმს 9 ოქტომბრის 07:00 საათიდან დაუბრუნდება, – ნათქვამია დე ფაქტო უწყების განცხადებაში.

მათივე ცნობით, აქვთ ინფორმაცია, რომ საქართველოში არჩევნების დღეს რადიკალურად განწყობილი ელემენტების მიერ პროვოკაციათა სერიები იგეგმება საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციისთვის.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

ლევან იზორია ლატვიის ელჩს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ლატვიის ელჩ იანის ზლამეტსს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ლევან იზორიამ ლატვიის ელჩს მადლობა გადაუხადა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაციის პროცესში ლატვიელი ექსპერტების ჩართულობისთვის. მხარეებმა სურვილი გამოთქვეს, ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სამხედრო-სასწავლო წვრთნები.

თავდაცვის მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სამხედრო განათლების სფეროში ლატვიასთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ისევე, როგორც თავდაცვის სამინისტროსა და რიგაში არსებულ ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრს შორის გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმზე.

ლევან იზორიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მაღალი რანგის სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლების გაცვლითი ვიზიტები.

მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებსა და სამხედრო სფეროში ურთიერთობის გაღრმავების შესახებ იმსჯელეს. შეხვედრას თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი და ლატვიის თავდაცვის ატაშე, პოლკოვნიკი იანის დრეიმანისი დაესწრნენ.

ინტერპრესნიუსი

ქართლის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულებულია

ალტერნატიული ენერგიის წყაროების ათვისების მიზნით სს ,,საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ და სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შვილობილმა კომპანია შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა“, ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2016 წელს დაასრულა შიდა ქართლის რეგიონში, გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 34.000.000 აშშ დოლარი, დადგმული სიმძლავრე არის 20.7 მეგავატი, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია იქნება 88 მლნ.კვტ/საათი.

აღნიშნულ პროექტზე მუშაობა 2013 წლის აგვისტოში დაიწყო. დამონტაჟდა ქარის ძირითადი პარამეტრების გამზომველი მეტეოროლოგიური ანძა. მეტეოანძით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ქარის ინდუსტრიაში ერთ-ერთმა წამყვანმა ნორვეგიულმა კომპანია ,,MEVENTUS“-მა მოამზადა ქარის რესურსების შეფასების ანგარიში და ამასთან შეირჩა ადგილისთვის ყველაზე ოპტიმალური ექსტურბინიანი სქემა.

დეტალური პროექტის მომზადებაში ჩაერთო ბელგიური საკონსულტაციო კომპანია „Tractebel Engineering“, რომელიც წარმოადგენს გიგანტი კონცერნის „GDF Suez“-ის შვილობილ კომპანიას. გარდა დეტალური პროექტისა, კონსულტანტის მიერ მომზადდა სატენდერო დოკუმენტაციები ორ ლოტზე:

ლოტი 1 – ქარის ტურბინების შესყიდვა, ტრანსპორტირება, მონტაჟი და მონტაჟის შემდგომი მომსახურება.

ლოტი 2 – ელექტრო და სამშენებლო სამუშაოები.

2015 წელს აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან პროექტის ფინანსირების საკითხზე. ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, პროექტის საერთო ღირებულების 30%-ის შევსება მოხდა სესხის ამღები შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ პარტნიორებისგან, ხოლო დარჩენილი 70% კი ბანკის მიერ გაცემული სესხის მეშვეობით. 2016 წლის 11 იანვარს გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურს შორის“. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ბანკმა კომპანიას პროექტის ფინანსირებისთვის გამოუყო 24.000.000 აშშ დოლარი.

სატენდერო დოკუმენტაციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა დაადასტურა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა, რომლის შესყიდვების პროცედურებისა და წესების შესაბამისად ჩატარდა ტენდერი ორივე ლოტზე.

ლოტი 1 ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ქარის ენერგიის ინდუსტრიაში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია „VESTAS BENELUX B.V“, რომელიც კომპანიას აწვდის ექვს ტურბინას თითოეული დადგმული სიმძლავრით 3.45 მეგავატი.

ლოტი 2 ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ჩინური კომპანია China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD.

სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2016 წლის 15 მარტს და დასრულდა მიმდინარე წლის 29 სექტემბერს. სადგური ოქტომბრიდან გადავა ტესტირების ეტაპზე, რა დროსაც გამოიმუშავებს ელ. ენერგიას, ხოლო ამ ენერგიის მიწოდება მოხდება ელექტროსისტემის ქსელის მეშვეობით საქართველოს მოსახლეობაზე. დეკემბრის მეორე ნახევარში ქარის ელექტროსადგური გაეშვება ექსპლუატაციაში და ამუშავდება სრული დატვირთვით. აღნიშნული პროექტის მშენებლობის პროცესში დასაქმებული იყო 200-მდე ადამიანი. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „VESTAS BENELUX B.V“-სი საქართველოში შემოვიდა ქართული წარმომადგენლობით „VESTAS GEORGIA“ და ექსპლუატაციის პროცესში გადამზადებული და დასაქმებული იქნება საქართველოს 20 მოქალაქე.

6 ოქტომბერს ქართლის ქარის ელექტროსადგური გახსნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა.

ქართლის ქარის ელექტროსადგური ხელს შეუწყობს მთავრობის სტრატეგიას, რომელიც დაბალემისიებიანი გენერაციის განვითარებასა და ზამთრის სეზონზე ქვეყნის მოთხოვნის ნაწილის ქარის ენერგიით დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

მიწა საკუთრებაში 20.051 მოქალაქეს დაურეგისტრირდა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მიწის რეგისტრაციის რეფორმის მიმდინარეობის ორი თვის შედეგები შეაჯამა.

მინისტრის ინფორმაციით, 1 აგვისტოდან დღემდე საჯარო რეესტრში მთელი ქვეყნის მასშტაბით 74.838 განცხადება შევიდა. აქედან 20.051 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა თავად მოიძია საჭირო საბუთები და მოქალაქეებს მიწა წარმატებით დაურეგისტრირა.

– 40.065 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა, რეფორმის შედეგად შეძენილი ახალი უფლებამოსილებების წყალობით, მოქალაქის ნაცვლად თავად დაიწყო სხვადასხვა უწყებაში შესაბამისი საბუთების მოძიება და ამ განცხადებათა დიდი ოდენობაც წარმატებით დასრულდება, 8.433 განცხადება კი ამჟამად შესწავლის პროცესშია.

საჯარო რეესტრთან საკუთარი მოსახლეობის ინტერესში თანამშრომლობის მაღალი ხარისხით ადიგენის, ხობის, ცაგერის, მცხეთის, დუშეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები გამოირჩევიან, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრის ინფორმაციით, ერთი თვის განმავლობაში საჯარო რეესტრში დღეში, საშუალოდ, 1.600 განცხადება შედის, 31 აგვისტოს კი რეკორდულად დიდი ოდენობის (5.008) განცხადება შევიდა.

– მოქალაქეთა ასეთმა მოზღვავებამ საჯარო რეესტრის ასეულობით თანამშრომლის განსაკუთრებული ძალისხმევა მოითხოვა. მით უმეტეს, რომ თითოეულ განცხადებაზე რეგისტრატორი მოქალაქეს ტელეფონით უკავშირდება და მის თაობაზე დამატებით განმარტებებს პირადად აწვდის.

ორი თვის განმავლობაში საჯარო რეესტრმა, ჯამში, სხვა უწყებებში 80.609 წერილი გაგზავნა მოქალაქის ინტერესში საბუთების გამოთხოვის შუამდგომლობით, – აღნიშნა მინისტრმა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აღნიშნავენ, სწრაფი და მრავალრიცხოვანი გამოხმაურებებით სახელმწიფო უწყებებიდან ყველაზე აქტიურები საქართველოს ეროვნული არქივი (19.646 პასუხი), ფინანსთა სამინისტრო (8.338 პასუხი) და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (1.531 პასუხი) არიან.

პროექტი, რომელმაც მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული ბარიერები მოხსნა და პროცედურები გაამარტივა, 1 აგვისტოდან დაიწყო.

რეფორმის ფარგლებში საჯარო რეესტრმა მოქალაქეებს ნოტარიუსთან უფასო მედიაცია თავად დაუნიშნა, რის შედეგადაც 11 კომპლექსური საქმე მორიგებით დასრულდა და მოქალაქეებმა მეზობელთან ხანგრძლივი დავის შემდეგ მიწები მარტივად დაირეგისტრირეს. 100-ზე მეტი მედიაცია სხვადასხვა ნოტარიუსთანაა დანიშნული.

რეფორმის ფარგლებში მოქმედებს ფაქტების კონსტატაციაც და იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტით მიწის ნაკვეთის მდებარეობა, საზღვრები, მახასიათებლები და ა.შ. არ დგინდება ან სადავო სიტუაცია ჩნდება, საჯარო რეესტრი ფაქტების დასაზუსტებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავად მიმართავს და პროცესში ამ უწყების წარმომადგენელს რთავს.

მომსახურება უფასოა და პროექტის ფარგლებში ამ სერვისით უკვე 115 მოქალაქემ ისარგებლა.

ამას გარდა, რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა აზომვითი ნახაზის ახალი სტანდარტი და 1 სექტემბრიდან განხორციელებული ყველა ნახაზი ამ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს. გაიმიჯნა პასუხისმგებლობა ამზომველსა და მოქალაქეს შორის. კერძოდ, უძრავი ნივთის ადგილმდებარეობასა და საზღვრის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია მესაკუთრე, ხოლო აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასა და ნახაზის სისწორეზე - ამზომველი.

აზომვითი ნახაზის საფასურის ანაზღაურების ახალი წესი განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, რაც თეა წულუკიანის განცხადებით, მიმდინარე რეფორმის წარმატების ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

ელექტრონული პროგრამა, რომელიც საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, მიწის რეგისტრაციის რეფორმის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს გაეცნოს (მიღებული განცხადებები საქართველოს მასშტაბით და მუნიციპალიტეტების მიხედვით, წარმატებით დასრულებული რეგისტრაციები, სხვა უწყებებში საბუთების მოძიებისათვის გადაგზავნილი მოთხოვნები).

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის მოქალაქეებს შეუძლიათ, მიმართონ იუსტიციის სახლებს, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

აზერბაიჯანში იმპორტზე საბაჟო ტარიფის ზრდა ქართულ პროდუქციას არ შეეხება

აზერბაიჯანში პროდუქციის იმპორტზე საბაჟო განაკვეთების მოსალოდნელი ზრდა ქართულ პროდუქციასა და ექსპორტიორებს არ შეეხება. ამის შესახებ ეკონომიკური პორტალი ბპნ.გე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გენადი არველაძეზე დაყრდნობით წერს.

არველაძის თქმით, აზერბაიჯანულმა მხარემ ქართულ მხარეს დაუდასტურა, რომ ცვლილებები საქართველოს არ შეეხება.

– აზერბაიჯანთან ორმხრივი და მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გვაქვს, რომელსაც მსგავსი საიმპორტო ტარიფების ზრდა არ ეხება. შესაბამისად, ეს ტარიფების ზრდა ქართული წარმოშობის პროდუქციას ნამდვილად არ შეეხება. კონსულტაცია აზერბაიჯანულ მხარესთანაც გვქონდა და მათაც დაადასტურეს ეს, – აღნიშნა არველაძემ.

აზერბაიჯანული გამოცემა ტრენდ.აზ-ის ცნობით, აზერბაიჯანი ზოგიერთი სახეობის პროდუქციის იმპორტზე საბაჟო განაკვეთებს 2 წლით ზრდის.

საუბარია ხორცპროდუქტებზე, ფრინველის ხორცზე, კვერცხზე, ხილზე, ბოსტნეულზე, თხილზე, წვენებზე, ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებზე, მათ შორის, მინერალურ წყლებზე, ასევე საშენ მასალაზე – ბეტონზე, ცემენტზე, აზბესტზე, აგურსა და კერამიკაზე.

ინტერპრესნიუსი

გერმანიის ყოფილი კანცლერი შრიოდერი „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა

გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი რუსული „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიის, კონსორციუმ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

გერმანული მედიის ცნობით, ბოლო 10 წლის განმავლობაში შრიოდერი „ჩრდილოეთ ნაკადის“ აქციონერთა საბჭოს ხელმძღვანელობდა და, სავარაუდოდ, ამ თანამდებობას შეინარჩუნებს.

„ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის აქციების 100%-იანი წილის მფლობელი რუსული „გაზპრომია“.

„ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის პროექტი რუსეთიდან გერმანიაში, ბალტიის ზღვის ფსკერზე საზღვაო გაზსადენის ორი ხაზის მშენებლობას ითვალისწინებს, რომლის საერთო სიმძლავრე წელიწადში 55 მილიარდი კუბური მეტრი გაზი იქნება.

გაზსადენის მშენებლობის დასრულება 2019 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. რუსეთის ხელისუფლების განცხადებით, „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ „გაზპრომს“ უკრაინის ავლით გაზის ტრანზიტის შესაძლებლობას მისცემს.

ინტერპრესნიუსი

აფხაზეთი: დრანდის იზოლატორიდან 3 პატიმარი გაიქცა

მარიამ მჭედლიშვილი

ანექსირებულ აფხაზეთში ბოლო წლებში სულ მძიმე კრიმინოგენური ფონია, თუმცა ამ დღეებში ერთდროულად ორი ისეთი მძიმე შემთხვევა მოხდა, რომ აფხაზეთისთვისაც უჩვეულო ვითარება შეიქმნა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს ახალი მთავრობა ჰყავს. ვაკანტური რჩებოდა საგარეო მინისტრის პოსტი, რომელზეც დე ფაქტო პრეზიდენტმა ხაჯიმბამ დაურ კოვე დაამტკიცა.

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ასლან კობახიას წარდგენისას, ზაფხულში, რაულ ხაჯიმბამ მას ნარკობიზნესთან ბრძოლის დავალება მისცა, თუმცა ანექსირებულ რესპუბლიკაში მოვლენები ისე ვითარდება, რომ ნარკოტიკებთან საბრძოლველად ვერ იცლიან.

აფხაზეთის შსს-ს დრანდის საგამოძიებო იზოლატორიდან გაქცევა ერთდროულად სამმა პატიმარმა მოახერხა.

გურამ ინაპშბა მკვლელობისთვის იყო დაკავებული, რევაზ უგრეხელიძე – მკვლელობის მცდელობისთვის, ბაჩუკი ლატარია კი – იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის. მათ იზოლატორიდან მაშინ გააღწიეს, როცა გამშვებ პუნქტზე არავინ იმყოფებოდა.

ამას მაშინვე მოჰყვა იზოლატორის ხელმძღვანელის გადაყენება. ცოტა ხანში ის და მილიციის კიდევ 9 თანამშრომელი დააკავეს. ამასთან, გაქცეულების თანამზრახველობა ჯერჯერობით ერთ-ერთ დაკავებულ ქალს უმტკიცდება.

– ეს ღირსების საქმეა. თუ გაქცეულები საქართველოში იმალებიან და ფიქრობენ, რომ უსაფრთხოდ არიან, ისინი ძალიან ცდებიან, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა კობახიამ.

სისხლის სამართლის კიდევ ერთი რეზონანსული საქმე ბიზნესმენის გატაცებას ეხება.

რუსეთის მოქალაქე ვაჩაგან პეტროსიანი აფხაზეთში სამშენებლო საქმით იყო დაკავებული. იგი ოჩამჩირის ასფალტის ქარხნის ერთ-ერთი მეპატრონეა. მისი გატაცება სწორედ ოჩამჩირის ტერიტორიაზე მოხდა. გამტაცებლებმა ბიზნესმენი აიძულეს, მანქანა გაეჩერებინა. მათ გაუშვეს ავტომობილში მჯდომი ბიზნესმენის კომპანიონი, თვითონ გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს, გზაზე კი მისი ავტომანქანა დაწვეს.

ბოლო ხმაურიანი გატაცება წინა მთავრობის საქმიანობისას მოხდა. ივლისის დასაწყისში გაიტაცეს პარტია ედინაია აბხაზიას მდივანი ირინა დოჩია, რომელიც მიგრაციული სამსახურის თანამშრომელიცაა.

ირინა დოჩიას გასათავისუფლებლად გამტაცებლები ერთ-ნახევარ მილიონ ევროს მოითხოვდნენ, თუმცა მისი გათავისუფლება გამოსასყიდის გარეშე მოხდა. მანამდე პირადად დე ფაქტო პრეზიდენტი ხაჯიმბა მილიონ რუბლს შეჰპირდა იმას, ვინც სამართალდამცავებს გატაცებულის ადგილსამყოფელს აცნობებდა.

ითქვა, რომ გატაცებული ირინა დოჩია გალის რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მისთვის ფიზიკური ზიანი არ მიუყენებიათ.

ჯოზეფ სტიგლიცი: „უახლოეს წლებში ევროზონას იტალია და სხვა ქვეყნები დატოვებენ“

ნობელიის პრემიის ლაურეატის, ეკონომისტ ჯოზეფ სტიგლიცის პროგნოზით, უახლოეს წლებში ევროზონას იტალია და სხვა ქვეყნები დატოვებენ.

ეკონომისტის თქმით, ევროპის ეკონომიკური პრობლემების მთავარი მიზეზი ევრო და გერმანიის ქამრების შემოჭერის პოლიტიკაა.

– ევროპას საჭირო რეფორმების განსახორციელებლად, როგორიცაა საბანკო კავშირის შექმნა, გამბედაობა არ ჰყოფნის.

გარდა ამისა, აკლია სოლიდარობა ნაციონალურ საზღვრების მიღმა, – აცხადებს სტიგლიცი.

მისი თქმით, ევროზონა ათი წლის შემდეგაც იარსებებს, მაგრამ, საკითხავი ის არის, რა ფორმით იქნება წარმოდგენილი.

– ნაკლებ სავარაუდოა, რომ ევროზონას ისევ 19 წევრი ეყოლება. რთული სათქმელია, ვინ დარჩება. იტალიელები ევროთი ძალიან იმედგაცრუებული არიან. ხვდებიან, რომ იტალია ევროს ვერ მოერგო, – აცხადებს სტიგლიცი.

მისი თქმით, გერმანიამ უკვე გაითავისა, რომ საბერძნეთი ევროზონას დატოვებს.

– ვალუტის გაყოფა ჩრდილო და სამხრეთ ევროებად ერთადერთი რეალისტური გზაა ევროპის მცდარი ეკონომიკის გამოსასწორებლად, – აღნიშნავს ნობელიანტი ეკონომისტი.

ჯოზეფ სტიგლიცის თქმით, ევროპასა და ამერიკას მსგავსი ეკონომიკა, რესურსები და შრომითი ინსტრუმენტები აქვთ, თუმცა ამერიკის ეკონომიკა გლობალური ფინანსური კრიზისიდან გამოვიდა, ევროპა კი ვერა.

– მთავარი განმასხვავებელი ევროა. ერთი ვალუტა მთლიან ევროპულ ეკონომიკას ამძიმებს, – აცხადებს მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტი.

ინტერპრესნიუსი

ექსპერტი: „თარგამაძის მანქანის აფეთქებისას, სავარაუდოდ, დიდი მსხვერპლი არ იყო დაგეგმილი“

– სავარაუდოდ, არ იყო დაგეგმილი დიდი მსხვერპლი. დაგეგმილი იყო თუ არა ავტომანქანაში ადამიანების ლიკვიდაცია, ამაზე საუბარი რთულია.

ამის შესახებ ექსპერტ-კრიმინალისტმა ზაზა ალთუნაშვილმა 6 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებასთან დაკავშირებით განაცხადა.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ დახურულ სივრცეში მომხდარი აფეთქების დროს მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა. მისი ვარაუდით, აფეთქება ყველასათვის ხელმისაწვდომი ნივთიერებით მოხდა.

– სათვალთვალო კამერების ჩანაწერებისა და აფეთქების ტრაექტორიის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფეთქების დროს გამოყენებული იყო ისეთი მასალა, რომელსაც სამხედრო დანიშნულებისა და საბრძოლო მოქმედებების დროს იყენებენ, თუმცა მისი სისრულეში მოყვანა შეუძლებელია, ე.წ. ტროტილის გარეშე, ეს ტროტილი კი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

გამოიყენება სამრეწველო დანიშნულებისთვისაც. გაიჟღერა, რომ დისტანციური მართვის მოწყობილობიდან მოხდა აფეთქება, თუმცა ამას ძიება დაადგენს და ამას სჭირდება მტკიცებულებები. სავარაუდოდ, არ იყო დაგეგმილი დიდი მსხვერპლი, რადგან დახურულ სივრცეში მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა, – განაცხადა ზაზა ალთუნაშვილმა.

მისივე თქმით, იმის დადგენა, თუ რა მოცულობის ნივთიერება იქნა გამოყენებული, ცოტა რთულია.

– დაზიანებების გათვალისწინებით, გამოყენებული იყო ის მასა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, ის შედეგი დამდგარიყო, რაც დადგა, ამიტომ ამის დადგენა, რა მოცულობის ნივთიერება იქნა გამოყენებული, ცოტა რთულია. დაახლოებით საუბარია 100-150 გრამის ოდენობის ტროტილზე, – განაცხადა ზაზა ალთუნაშვილმა.

ექსპერტი დაუშვებლად მიიჩნევს, რომ მომხდარი გივი თარგამაძეს სცოდნოდა, რადგან, მისივე განმარტებით, ამ შემთხვევაში თარგამაძე დაზღვეული არ იყო.

ინტერპრესნიუსი

ქვეწარმავლებისგან დაკბენილი მოსახლეობა და იატაკიდან ამოხეთქილი ფეკალური წყლები

რაში დაიხარჯა დევნილთა საცხოვრებლებისთვის გამოყოფილი მილიონები

დახარჯული მილიონობით ლარი, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები და 23 წლის შემდეგ ისევ პრობლემებში მყოფი დევნილები, ჭერიდან ჩამოსული და იატაკიდან ამოხეთქილი წყალი, ქვეწარმავლებისგან დაკბენილი მოსახლეობა ის რეალობაა, რომელსაც დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხით აშენებულ დევნილთა ახალ საცხოვრებლებში შესახლებული დევნილები აწყდებიან.

ეს ის შენობებია, რომლებიც მთავრობის წარმომადგენლებმა სხვადასხვა წლებში საზეიმო ვითარებაში გადასცეს იქ მცხოვრებლებს.

დევნილებმა ჟურნალისტებს მთავრობისთვის ხმის მიწვდენა და მათი პრობლემების მოგვარება სთხოვეს.

– ვინ მეტყვის, რომ აქ კორუფცია არ არის? სად წავიდა ის ფული, რაც ხარისხიანი მშენებლობისთვის გამოიყო? ფანჯარას ვერ ვაღებთ, წყალი შემოგვდის. 5 თვეა, კანალიზაციის სუნში ვიხრჩობით. ისეთი წვრილი მილები გააკეთეს, ყოველ მეათე დღეს იჭედება და ფეკალური მასებით ვიტბორებით, – გვითხრა თვალცრემლიანმა ქალმა, რომელიც ზუგდიდში აშენებულ ახალ საცხოვრებელში, სხვა 320 ოჯახთან ერთად, უმძიმეს პირობებში ცხოვრობს.

ის ამბობს, რომ არც სასმელი წყალი აქვთ:

– რაც ონკანში მოდის, იმის დალევა არ შეიძლება, რამდენჯერმე კანალიზაციის წყალი შეერია და ბავშვები დაიწამლნენ.

მძიმე ყოფაში არიან ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე ჩასახლებული დევნილებიც, განსაკუთრებით 20-25 ოჯახი.

– ვიფიქრე, ძლივს მეღირსა საკუთარი ბინა, ჩემი ჭერი-მეთქი, მაგრამ რად გინდა? იატაკიდან წყალმა ვულკანივით ამოხეთქა. თურმე სარდაფი 4 მეტრის სიღრმეზე წყლით ყოფილა დატბორილი. სამშენებლო კომპანიას, რომელიც აქ სამუშაოებს აწარმოებდა, სამშენებლო ნარჩენებით ამოუქოლავს სარდაფი, იქ გამდინარე წყალიც დაემატა და ასე ხან ჭერიდან, ხან იატაკიდან მოხეთქავს ხოლმე წყალი, – გვითხრა ქალმა, რომელიც ამ პრობლემების გამო იძულებული გახდა, საცხოვრებლად დროებით სხვა ბინაში გადასულიყო ქირით.

ქვეწარმავლების პრობლემასა და გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებს უჩივიან ქუთაისის ყოფილ სამხედრო ლიცეუმში ჩასახლებული დევნილებიც.

მათ კორპუსს ძველი შენობის ნანგრევები ესაზღვრება, რის გამოც ქვეწარმავლები მომრავლდნენ. ამას გარდა, შენობის სარდაფში წყალიც და ფეკალური მასაც ერთდროულად ჩაედინება, რაც ქვეწარმავლებისთვის კარგი თავშესაფარი აღმოჩნდა.

– ბევრჯერ დაკბინეს ბავშვები, სარდაფი ქვეწარმავლებით გაივსო, ჩვენი პატრონი არავინაა. დახმარებისთვის ქუთაისის მერიას მივმართეთ, მაგრამ თანადაფინანსება მოგვთხოვეს. ამის შესაძლებლობა რომ გვქონოდა, მათ ხომ არ ვთხოვდით დახმარებას? – გვითხრა ქალმა, რომელსაც კარგა ხანია, ასეთ ყოფაში უწევს ცხოვრება.

აქ ძირითადად სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ცხოვრობენ. კორპუსიც ცუდადაა აშენებული.

– საძინებელ ოთახებს ფანჯრები არ აქვს. როგორც ყუთში, ისე გვძინავს, ოთახებს ვერ ვანიავებთ, რის გამოც ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ, – გვითხრა დევნილმა ქალმა.

❖ ❖ ❖

დევნილებთან შეხვედრა სხვადასხვა მედიასაშუალებაში მომუშავე ჟურნალისტებისთვის დასავლეთ საქართველოს სამ რეგიონში, იმერეთში, სამეგრელოსა და აჭარაში, საქველმოქმედო ჰუმანიტარულმა ცენტრმა „აფხაზეთმა“ მოაწყო.

სამდღიანი მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტები დეტალურად გაეცნენ დევნილების პრობლემებს.

დევნილთა სამინისტროს ცნობით, ბოლო 4 წლის განმავლობაში დევნილთა განსახლების პროგრამებზე 238 მილიონი ლარი დაიხარჯა, აქედან 191 მილიონ-ნახევარი სამინისტროს ბიუჯეტიდანაა, დარჩენილი თანხა კი მუნიციპალური ფონდის მიერ განხორციელებული პროექტებია, რომლებიც სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსდა.

ეკა ლემონჯავა

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ვიქტორია ნულანდი მოსკოვში ჩავიდა

მოსკოვში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი ჩავიდა. ის შეხვდა პუტინის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვს. საუბრის ძირითადი თემა დონბასში შექმნილი მდგომარეობა იყო.

მოსკოვში ჩასულ ნულანდს სასიამოვნო სიურპრიზი დახვდა. მინსკში გამართულ საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება დასახლებულ პუნქტ პეტროვსკოედან ჯარების დაშორიშორების შესახებ.

– მიუხედავად ამისა, დონბასის გარშემო ძირეული გარღვევის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, – განაცხადა პუტინის პრესმდივანმა პესკოვმა.

რუსეთი კატეგორიულად მოითხოვს, რომ უკრაინამ დონბასის განსაკუთრებული სტატუსი აღიაროს, დათანხმდეს რეგიონში არჩევნების ჩატარებაზე და ბოევიკების ამნისტია მოახდინოს.

ოფიციალური კიევი უარზეა.

სურკოვის წინადადებას, რომ აშშ-ის ზეწოლა უკრაინის მიმართ უნდა გაძლიერდეს, ნულადმა დუმილით უპასუხა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კარდაშიანს მძარცველი მოძალადეში აერია

ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა, რომელიც პარიზის სასტუმროში მძარცველების თავდასხმის მსხვერპლი გახდა, გამომძიებლებს განუცხადა, რომ მას გაუპატიურების შეეშინდა. ეს ინფორმაცია პოლიციასთან დაახლოებულმა წყარომ გაავრცელა.

პიროვნების თქმით, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, კარდაშიანი თავისი სასტუმრო ნომრის მეორე სართულზე საწოლში იწვა, როდესაც იქ ორი მამაკაცი შევარდა. ერთ-ერთს ნიღაბი ეკეთა, ხოლო მეორეს პოლიციელის ფორმა ეცვა. კიმი წამოხტა და შეეცადა, თავისი პირადი მცველისთვის დაერეკა, მაგრამ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მას მობილური ტელეფონი ხელიდან გამოსტაცა.

კარდაშიანის თქმით, მას ხელებზე პლასტიკატის ხელბორკილი დაადეს, წებოვანი ლენტით გაკოჭეს და ფეხის ტერფებში ჩააფრინდნენ. ამ დროს მან გაიფიქრა, რომ გაუპატიურებას უპირებდნენ, თუმცა ამის ნაცვლად ბოროტმოქმედებმა ის სააბაზანოში შეათრიეს. ამ დროს ტელევარსკვლავი თავდამსხმელებს ევედრებოდა, არ მოეკლათ, რადგან ბავშვები ჰყავდა და შესთავაზა, მთელი ფული წაეღოთ.

აღსანიშნავია, რომ მძარცველებს ინგლისური არ ესმოდათ, ხოლო კარდაშიანი ფრანგულად ვერ ლაპარაკობდა. ვინაიდან ამერიკელი ტირილსა და ხვეწნა-მუდარას აგრძელებდა, ბოროტმოქმედებმა მას პირიც წებოვანი ლენტით აუკრეს.

თავდასხმის მოწმე გახდა კარდაშიანის მეგობარი სიმონა, რომელიც სასტუმროს ნომრის ქვედა სართულზე იმყოფებოდა. მან მოასწრო, სააბაზანოში ჩაკეტილიყო და ტელევარსკვლავის პირად მცველ პასკალისთვის დაერეკა. ის მძარცველების წასვლიდან ორ წუთში მივიდა ადგილზე. მთელი ინციდენტი კი სულ ექვს წუთს გრძელდებოდა.

ამერიკაში ეპლის ტექნიკის არომატიანი სანთელი გამოუშვეს

ამერიკულმა კომპანიამ, რომელიც ეპლის ტექნიკის აქსესუარების გამოშვებითაა დაკავებული, გამოუშვა სანთელი, რომელსაც ახალი ნოუთბუქისა და კომპიუტერის სუნი ასდის.

ფირმამ გადაწყვიტა, პლატიკის უნიკალური არომატი შეექმნა, რომელსაც მხოლოდ აპლის პროდუქციასთან ურთიერთობისას შეიგრძნობთ. კომპანიის ცნობით, სანთლის სურნელი შედგება პიტნის, ატმის, ბაზილიკის, ლავანდის, მანდარინისა და შალფის არომატისგან.

სანთლის ფასი 24 დოლარია და პირველი პარტია უკვე მთლიანად გაიყიდა.

ქალი მოღალატე ქმრისგან 500 ათასს ითხოვს

რუსეთის ტულის ოლქის მცხოვრებმა ქალმა მეუღლის წინააღმდეგ, რომელმაც მას უღალატა, სარჩელი შეიტანა და მორალური ზიანის მიყენებისთვის კომპენსაციის სახით 500 ათასი რუბლი მოითხოვა.

ქალის განცხადებას, რომლის ვინაობა არ სახელდება, სუვოროვის რაიონული სასამართლო განიხილავს. ქალის თქმით, მეუღლემ მის წინაშე აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდა სხვა ქალთან, რის შედეგად მას შვილიც შეეძინა. ამის შემდეგ მამაკაცი მეუღლეს დაშორდა.

როგორც მოსარჩელე აცხადებს, მან ამის შედეგად ძლიერი მორალური და ფიზიკური ტკივილი განიცადა, დაეწყო ტკივილები გულის არეში, თავბრუსხვევა, დასჩემდა უძილობა, აქამდე ვერ მოუშორებია თავიდან შიშისა და საფრთხის შეგრძნება. ამ ყოველივეს დასადასტურებლად ქალმა წარმოადგინა საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობები, რომლებიც მის ავადმყოფობას ადასტურებს ბოლო სამი თვის განმავლობაში ანუ მას შემდეგ, რაც მეუღლე დაშორდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სარჩელი განსახილველად მოსამართლე რეგინა მიასოედოვას გადაეცა, ერთადერთ მოსამართლე ქალს სუვოროვის რაიონულ სასამართლოში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გერმანიის ტელეეკრანებზე ანტირუსული ფილმი გამოჩნდა

გერმანიის ტელეეკრანებზე გამოჩნდა ფილმი „პუტინის საიდუმლო ქსელი“.

მასში მხილებულია რუსეთის ძირგამომთხრელი საქმიანობა ევროპაში, კერძოდ, ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების გადაბირება, მემარჯვენე ანტიდასავლური ძალების დაფინანსება და ა.შ.

ნაჩვენებია პრორუსული ლობი ევროპარლამენტში, რომელიც რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას მოითხოვს და ა.შ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მომღერალი ტონი ბრეკსტონი კანის წითურას გამო საავადმყოფოში აღმოჩნდა

მომღერალი ტონი ბრეკსტონი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, რომელიც კანის წითურამ გამოიწვია და რომელიც ქრონიკულ აუტოიმუნურ დაავადებას წარმოადგენს.

თავდაპირველად ბრეკსტონმა სამედიცინო გამოკვლევა ატლანტაში გაიარა, შემდეგ, გასული კვირის ბოლოს, ლოს-ანჯელესში ჩაფრინდა, სადაც სამკურნალოდ ერთ-ერთ საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. მისი მდგომარეობა შეფასებული იყო, როგორც მძიმე. მედიაში არ ვრცელდება ინფორმაცია, მომღერალი თავად მივიდა საავადმყოფოში თუ სასწრაფო დახმარებამ მიიყვანა.

საავადმყოფოში ტონი ბრეკსტონი უკვე ოთხი დღეა იმყოფება. მომღერლის თანაშემწის თქმით, ის ამჟამად გაცილებით უკეთ გრძნობს თავს და იმედი აქვს, რომ ამერიკული ტურნესთვის მზადებას მალე შეუდგება.

ბრიტანული ვოგი მოდელებს უბრალო ქალებით ჩაანაცვლებს

ჟურნალ ვოგის ბრიტანული ვერსია გადაღებებისთვის პირველად გამოიყენებს არაპროფესიონალ მოდელებს. ასეთი გადაწყვეტილება გამოცემის მთავარმა რედაქტორმა ალექსანდრა შულმანმა მიიღო.

ახალი ნომრისთვის გადაღებებში მონაწილეობდნენ: არქიტექტურის ისტორიკოსი შუმი ბოსი, ქველმოქმედი მოღვაწე ბრიტა ფერნანდეს შმიდტი, კრეატიული დირექტორი ჯეინ ჰატჩისონი და ა.შ. არცერთ მათგანს სამოდელო ბიზნესში მოღვაწეობის გამოცდილება არ აქვს.

შულმანს ასეთი სახით სურდა ქალებისთვის, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობით არიან დაკავებულნი, მოდის სამყაროს ნაწილად აღექვათ^თავი.

ვოგის ახალი ნომრის გარეკანს მსახიობ ემილი ბლანტის სურათი დაამშვენებს. მთავარმა რედაქტორმა მსახიობი გარეკანისთვის იმიტომ შეარჩია, რომ, მისი თქმით, ბლანტი იმ ქალების როლებს ასრულებს, რომლებსაც ჩვენ ყოველდღე ვხვდებით.

მე-12 სართულის კარნიზზე ჩამოვარდნილი კნუტი გადაარჩინეს

სინგაპურის ცხოველთა დაცვის ორგანიზაციამ კნუტის გადარჩენის ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელიც ბინის გარეთა მხარეს კარნიზზე აღმოჩნდა.

აღნიშნული ვიდეორგოლი სოციალურ ქსელ ფეისბუქში ორგანიზაციის გვერდზე გამოქვეყნდა.

როგორც ვიდეოჩანაწერისთვის თანდართულ კომენტარშია ნათქვამი, კნუტი მე-12 სართულის ღია ფანჯრიდან გადავარდა. ცხოველი ორგანიზაციის თანამშრომელმა გადაარჩინა და ის პატრონს დაუბრუნეს.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ჯერიმ კალაძე გაიხსენა

ლონდონის ჩელსის ვეტერანმა მცველმა ჯონ ტერიმ მილანისა და საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, ამჟამად საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის შესახებ ისაუბრა.

„არისტოკრატების“ კაპიტანი თავის ყოფილ თანაგუნდელ ანდრეი შევჩენკოს გადაწყვეტილებამ გააკვირვა. ტერი ამბობს, რომ არ მოელოდა, თუ უკრაინელი ლეგენდა კახი კალაძის ნაცვლად სიმბოლურ თერთმეტეულში მას შეიყვანდა.

ჯონ ტერი:

– შევჩენკოს სიმბოლური თერთმეტეული ვნახე და, ცოტა არ იყოს, ამ გუნდში ჩემი თავის ხილვამ გამაკვირვა. ლოგიკურია, გუნდში მილანის ფეხბურთელები ჭარბობენ და ჩელსის მხოლოდ 3 მოთამაშე მოვხვდით. მეტიც, არ მეგონა, თუ „როსონერის“ ლეგენდარულ მცველებს კონკურენციას გავუწევდი. ანდრეის შეეძლო, ჩემ ნაცვლად გენიალური ფეხბურთელები დაესახელებინა, მაგალითად, კახი კალაძე, რომელსაც შესანიშნავი კარიერა ჰქონდა და შევჩენკოს ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია.

შევჩენკოს სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი

მცველები: კაფუ, ტერი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი

ნახევარმცველები: კაკა, სტივენ ჯერარდი, ზინედინ ზიდანი, ლიონელ მესი

თავდამსხმელები: რონალდო, უეინ რუნი.

სათადარიგოები: პეტრ ჩეხი, კარლეს პუიოლი, ფრენკ ლამპარდი, მიხაელ ბალაკი, ანდრეა პირლო, რაიან გიგზი, კრიშტიანო რონალდუ.

კოუტინიო: „კლოპთან მუშაობით სიამოვნებას ვიღებ“

ლივერპულის ბრაზილიელი ფეხბურთელი ფელიპე კოუტინიო მერსისაიდში თავს კარგად გრძნობს და თვლის, რომ შეუძლია უფრო უკეთაც ითამაშოს.

კოუტინიომ „წითლების“ რიგებში ჩატარებულ 152 მატჩში 32 გოლის გატანა შეძლო.

ფელიპე კოუტინიო საკუთარ თამაშზე, ოჯახსა და ლივერპულზე საუბრობს:

– გამიჭირდება საუკეთესო გოლის დასახელება, რადგან ყველა მათგანი განსაკუთრებულია ჩემთვის. რთულია აღვწერო, თუ რას ვგრძნობ, როცა გოლს ვიტან. ყველაზე მეტად მაინც მანჩესტერ იუნაიტედის კარში გატანილ გოლს გამოვარჩევდი. ეს გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ მტერს გავუტანე. ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ მაშინ გულშემატკივრები ჩემს სახელს სკანდირებდნენ. ამის გაგონება დიდებული იყო.

ვფიქრობ, ჯერ კიდევ შემიძლია, გავუმჯობესდე. ეს მხოლოდ დასაწყისია. ყოველთვის მინდა, უკეთ ვითამაშო. მსურს გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვიყო და ჩემს თანაგუნდელებს წარმატების მიღწევაში დავეხმარო. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. აქ ყოფნით ბედნიერი ვარ. ეს საოცარი ქალაქია.

კოუტინიომ მცირე კომენტარი თავის მეუღლეზეც გააკეთა. როგორც ირკვევა, ბრაზილიელმა ის 14 წლის ასაკში გაიცნო.

– ის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან ბრაზილიაში ყველაფერი მიატოვა და ჩემთან ერთად ევროპაში წამოვიდა. ძალიან იღბლიანი ვარ, რომ მის მხარდაჭერას და დახმარებას ვიღებ. მადლობელი ვარ იმისთვის, რაც მან ჩემთვის გააკეთა. მასთან ერთად მატჩის საყურებლად ჩემი შვილი, მარიაც მოდის. მას ჩემთვის იღბალი მოაქვს.

კოუტინიომ ასევე თავის მიზნებსა და იურგენ კლოპის მიერ გაწეულ სამუშაოზეც ისაუბრა:

– ის, რაც ნამდვილად მინდა, კლუბთან ერთად ტიტულების მოგებაა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ტიტულთან ახლოს უკვე ვიყავით და აღარ გვინდა მსგავსი რამ განმეორდეს. არ გვინდა მხოლოდ მიახლოება, გვსურს, მომდევნო ნაბიჯიც გადავდგათ. ამისთვის კი ყოველდღიურად ბევრს ვშრომობთ.

იურგენ კლოპი მე განვითარებაში დამეხმარა. მასთან მუშაობით სიამოვნებას ვიღებ. მან რწმენა შემმატა. ახლა გუნდი განსხვავებულად თამაშობს. მწვრთნელმა გუნდის მენტალობა შეცვალა. მე ამ გუნდის მჯერა. ჩვენ სწორ გზაზე ვართ, თუმცა ამის ჩვენებას ყოველ მატჩში ვერ ვახერხებთ. არ შეგვიძლია ძალიან წინ ვიყუროთ, ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავაკეთოთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რუსთავმა სოხუმს მოუგო

დუდუ დადიანის მემორიალი საინტერესოდ დაიწყო

ოლიმპი-მგზავიები 78:57

(20:13, 15:11, 23:18, 20:15)

დუდუ დადიანის მემორიალი სპორტის ახალ სასახლეში 2 მატჩით გაიხსნა. სეზონის პირველ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ ოლიმპი და მგზავრები წარდგნენ. ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა მეტოქე საკმაოდ იოლად – 78:57 დაამარცხეს და, თუკი მე-2 ტურში დინამოსაც მოუგებენ, ფინალში გავლენ.

დუდუ დადიანის მემორიალი ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფი გუნდებისთვის შესანიშნავი საშუალებაა როგორც საკუთარი, ისე მეტოქეების შესაფასებლად. გუნდები ახალი დაკომპლექტებულნი არიან, მწვრთნელებს ახალწვეულთა საქმეში ნახვა სურთ, ასევე ვარჯიშებზე დამუშავებული სათამაშო კომპონენტების დახვეწაზე მიდის მუშაობა, ამიტომ ფავორიტად რომელიმეს მიჩნევა საძნელო საქმეა.

ოლიმპმა ოთხივე მეოთხედი მცირე სხვაობით მოიგო, რამაც საბოლოოდ 21 ქულა შეადგინა.

შემადგენლობით ორივე გუნდი ტოლძალოვნად ჩანდა, თუმცა ლეგიონერები, რომლებსაც არ ვიცნობდით, გადამწყვეტი ფაქტორები აღმოჩნდნენ. მგზავრებში 3 უცხოელი ვიხილეთ – დეივ ფოსტერი, ქარიმ კალები და ალექს უილიამსონი, ოლიმპში კი ტრეი ბურნეთმა და ვოლტერ პიჩფორდმა იასპარეზეს.

გამარჯვებულებს ბურნეთმა ულიდერა, რომელმაც 20 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა. ბათუმიდან ოლიმპში გადასულმა ირაკლი მიქელაძემ საკმაოდ მახვილგონივრულად ითამაშა და 14 ქულასთან ერთად 5 პასი მიითვალა. ოლიმპელთა აქამდე გამთამაშებელმა, ამჯერად მსროლელის პოზიციაზე გადასულმა რევაზ როგავამ გამარჯვებულებს 13 ქულა მიაშველა. მგზავრებში 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ ფოსტერმა დაძლია, რომელმაც 22 ქულას უწია.

სოხუმი-ხუსთავი 102:104

(33:25, 29:21, 20:28, 20:30)

მე-2 ჯგუფის მატჩში ერთმანეთს სოხუმი და რუსთავი შეხვდნენ. ორთაბრძოლა საკმაოდ საინტერესო გამოდგა. სოხუმელებმა პირველივე წუთზე რომ მოიპოვეს ლიდერობა, მატჩის ბოლოსწინა წუთამდე იგებდნენ. სწორედ მატჩის მიწურულს გაათანაბრა რუსთავმა ანგარიში 100:100-ზე, რომელიც მატჩის მსვლელობისას სოხუმელებს 15-17 ქულითაც ჩამორჩებოდა.

დიდ შესვენებაზე სოხუმი 16 ქულით ლიდერობდა, თუმცა მე-3 პერიოდის შემდეგ მხოლოდ 8-ქულიანი ჰანდიკაპი შერჩა. ბოლო მეოთხედში თითქოს არაფერი ჩანდა საგანგაშო, სოხუმელების ლიდერობამ ისევ 10-ქულიან ზღვარს გადააჭარბა, მაგრამ რუსთაველები არ დანებდნენ. ლეგიონერთა შედეგიანი თამაშით, რომელსაც ახალგაზრდა გიგი გოგობერიშვილის სიზუსტეც ერთვოდა, რუსთაველებმა ჯერ ანგარიშის გათანაბრება, ხოლო ბოლო წუთზე დაწინაურებაც მოახერხეს. ბოლო 2 ბურთი მართლაც შთამბეჭდავი გამოუვიდათ ქვემოქართლელებს. ჯერ ტომი სპანოლომ ჩატენა თანაგუნდელის აცილებული, ხოლო მატჩის ბოლო ბურთი, შეხვედრის დასრულებამდე 2,9 წამით ადრე ამირ უილიამსმა ჩატენა – 104:102 რუსთაველთა ლამაზი გამარჯვება.

სოხუმს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, ნუგზარ ჭეიშვილი, რომელიც მისთვის ჩვეულ, სწრაფ სტილში ათამაშებდა ახალგაზრდა სოხუმელებს. სისწრაფეში რუსთაველებიც არ ჩამორჩნენ და საბოლოოდ ასეთი შედეგიანი მატჩი გამოვიდა.

რუსთაველთა ბომბარდირი 26 ქულით, 12 მოხსნითა და 5 შედეგიანი გადაცემით ტომი სპანოლო გახდა. 19 ქულა მიითვალა გიგი გოგობერიშვილმა, ხოლო 17 ქულა კასპერბაუერის ანგარიშზეა. სოხუმელთაგან 24 ქულით ოთო ბულიავა გამოირჩა, 21 დააგროვა მერაბ ბოქოლიშვილმა, ხოლო ვეიდ ლათანმა შეხვედრა 20 ქულით დაასრულა.

ტომას მიულერი: „დორტმუნდს დაწევის უფლება არ უნდა მივცეთ“

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების შემტევმა ტომას მიულერმა გერმანულ მედიასთან ინტერვიუში ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონზე ისაუბრა.

27 წლის ფეხბურთელის თქმით, მიუხედავად ლევერკუზენთან მარცხისა, რეკორდმაისტერის მთავარ კონკურენტად დორტმუნდი რჩება.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის მიუნხენის ბაიერნი 16 ქულით სატურნირო ცხრილის პირველ ადგილზე იმყოფება, ხოლო ტომას ტუხელის შეგირდები 12 ქულით მე-3 ადგილზე არიან. გასულ უქმეებზე კარლო ანჩელოტის გუნდმა კიოლნთან პირველი ქულები დაკარგა, თუმცა ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა ლევერკუზენთან დაპირისპირება დორტმუნდისთვის.

ტომას მიულერი:

– ფარმაცევტებმა კარგი ფეხბურთი აჩვენეს. შესანიშნავი გამარჯვება იყო, თუმცა მე ისევ იმავე აზრზე ვარ. ბუნდესლიგაში დორტმუნდის ბორუსია ჩვენი მთავარი კონკურენტია. არ უნდა დავუშვათ, რომ ტომას ტუხელის გუნდი დაგვეწიოს, აუცილებელია, რეგულარულად მოვაგროვოთ ქულები და სხვაობა შევინარჩუნოთ.

ბუნდესლიგის მე-7 ტურში კარლო ანჩელოტის შეგირდები ფრანკფურტში ადგილობრივ აინტრახტს ესტუმრებიან, ხოლო დორტმუნდის ბორუსია სატურნირო ცხრილის უშუალო კონკურენტს, ბერლინის ჰერტას უმასპინძლებს.

ქალმა ნიანგი შლოპანცით გააგდო

ავსტრალიის ეროვნულ პარკ კაკადუში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, ქალმა ნიანგი შლოპანცის დახმარებით გააგდო. მტაცებელი ძაღლით დაინტერესდა, რომელიც ქალს გასასეირნებლად მდინარის სანაპიროზე ჰყავდა გამოყვანილი. მომხდარის ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა განთავსებული.

ვიდეოს ავტორის, ნატურალისტ ლინდონ ანლეზარკის თქმით, სავარაუდოდ, ქალს არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რამდენად სახიფათო იყო მისი ასეთი ქმედება.

– უბრალოდ, დაუჯერებელია, რომ ვინმე ასეთ რისკზე წასულიყო, – აღნიშნა ანლეზარკმა.

ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში აღნიშნულია, რომ ნიანგის ადამიანზე ბოლო თავდასხმა, რომელიც ტრაგიკული შედეგით დასრულდა, ამ მდინარის სანაპიროზე 1987 წელს მოხდა. აღსანიშნავია, რომ ამ მდინარეში 120-ზე მეტი რეპტილია ბინადრობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სკატმა პროფესიონალი მყვინთავი მოკლა



პროფესიონალი მყვინთავი ფილიპ ჩენი სინგაპურის დახურულ ოკეანორიუმში სკატისგან მიყენებული დარტყმის შედეგად დაიღუპა.

პოლიციის ინფორმაციით, თავდასხმის შემდეგ მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ის მოგვიანებით მიღებული ტრავმისგან გარდაიცვალა. ოკეანორიუმის მფლობელი კომპანიის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ 62 წლის ჩენი პროფესიონალი, დიდი გამოცდილების მქონე მყვინთავი იყო და ზღვის სამყაროს პარკში მისი გახსნის დღიდან, 1991 წლიდან მუშაობდა.

წარსულში პოპულარული ოკეანორიუმი 2016 წელს დაიხურა იმის გამო, რომ კონკურენციას ვერ გაუძლო. ჩენი ერთ-ერთი იყო იმ ათ თანამშრომელს შორის, რომელიც დარჩა იმისთვის, რათა ცხოველებისთვის მიეხედა, ვიდრე მათთვის სხვა საბინადრო ადგილი გამოიძებნებოდა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ბავშვები უფრო ხშირად ავადდებიან კონიუნქტივიტით, ვიდრე უფროსები

ბავშვებისთვის თვალები ერთ-ერთი ყველაზე პირველი ორგანოა გარემო სივრცის გასაცნობად. თვალებზე მოქმედებს მტვერი, ქარი და სხვადასხვა ინფექციური აგენტი. მგრძნობელობას ინფექციის მიმართ აძლიერებს გადაციება ან გადახურება, ავიტამინოზი, საერთო სისუსტე, ხშირი გაციება, მხედველობის დაქვეითება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

კონიუნქტივა არის თვალის გარეთა შემაერთებელი ქსოვილი, რომელიც ასრულებს ბარიერულ, დამატენიანებელ, მკვებავ ფუნქციებს. იგი ფარავს ხილულ თეთრ გარსს (სკლერას) და ქუთუთოების შიგნითა ზედაპირს.

ბავშვების კონიუნქტივა ძალიან თხელი და ნაზია, მგრძნობელობა დაბალი აქვს, რის გამოც ბავშვები არ ჩივიან, არ სტკივიათ. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, არ გამოგვეპაროს და შევამჩნიოთ ინფექციის დასაწყისი, დროულად გავტაროთ პროფილაქტიკური ზომები და დავიწყოთ მკურნალობა.

კონიუნქტივიტი არის ანთებითი პროცესი, რომელიც გამოწვეულია ინფექციური ან ალერგიული აგენტებით.

ავადმყოფობის დასაწყისი არის მწვავე, თვალში ვლინდება სიწითლე, ტკივილი, შეშუპება. მოზრდილები უჩივიან უცხო სხეულის, ქვიშის შეგრძნებას თვალებში. შემდგომში ქუთუთოები ერთმანეთს ეკვრის, ჩნდება გამონადენი, რომლებიც ხმება წამწამებზე ქერქების სახით. დილით ბავშვი ვერ ახელს თვალებს, რაც ძლიერ აშინებს ბავშვებს და მათ მშობლებს. ბავშვი გაღიზიანებულია, ცუდად სძინავს, ისრისავს თვალებს, უარს ამბობს ჭამაზე. შეიძლება მოიმატოს ტემპერატურამ.

არსებობს სხვადასხვა სახის კონიუნქტივიტი:

ვირუსული კონიუნქტივიტი

გამომწვევი მიზეზია ვირუსები, ამიტომაც ბავშვი ავადდება ჰაერ-წვეთოვანი გზით. ძალიან სწრაფად ვრცელდება ბავშთა კოლექტივში. სახლშიც ვირუსული კონიუნქტივიტით შეიძლება დაავადდეს მთელი ოჯახი. დაავადების დასაწყისი არის მწვავე, ჯერ ერთი თვალი, შემდგომში მეორე თვალი ინფიცირდება. ჩნდება წყალივით გამონადენი. აღინიშნება თვალების შეშუპება, სიწითლე, ტკივილი. იწევს ტემპერატურა, როგორც გაციების დროს.

ბაქტერიული კონიუნქტივიტი

თვალში მიკროორგანიზმების მოხვედრისას ჩნდება ბაქტერიული კონიუნქტივიტი. ბავშვი შეიძლება დაავადდეს ბინძური ხელებისგან, სათამაშოებისგან. მტვერი, უცხო სხეული იწვევეს მიკროტრავმებს კონიუნქტივაზე და დაზიანებულ ქსოვილზე მოხვედრილი ბაქტერიები იწვევენ ანთებას.

შეიძლება დაიწყოს მწვავედ ან თანდათან, ერთ თვალზე ან ორივეზე ერთად. ჩნდება უცხო სხეულის შეგრძნება, შეშუპება, წებოვანი მომწვანო-მოყვითალო გამონადენი, დილით ქუთუთოები ერთმანეთს ეკვრის და წამწამებზე მოყვითალო ქერქებია.

არც ისე იშვიათად ყურის (ოტიტი), ცხვირის (რინიტი) და დანამატი ღრუების ანთება იწვევს ინფექციის გავრცელებას თვალზე.

სოკოვანი კონიუნქტივიტი

სოკოვანი კონიუნქტივიტი ჩნდება ქუთუთოების და კანის სოკოვანი დაზიანებისას, იმუნოდეფიციტის დროს. ცუდად ექვემდებარება მკურნალობას და ახასიათებს თვალის ღრმა ქსოვილებში შეღწევა..

აღენიანური კონიუნქტივიტი

მიზეზი ამ სახის კონიუნქტივიტისა არის გარემოში არსებული ალერგენები. ესენია: მტვერი, ცხოველთა ბეწვი, სიგარეტის კვამლი, საყოფაცხოვრებო ქიმია, სამკურნალო პრეპარატები, კვების პროდუქტები, მცენარეების მტვერი გაზაფხული–ზაფხულის პერიოდში. ცალკე გამოიყოფა ისეთი ალერგიული კონიუნქტივიტი, რომელიც ჩნდება ორგანიზმში კონკრეტული ინფექციური აგენტის შეჭრისას.

იწყება მწვავედ ან თანდათან ახასიათებს ქრონიკული ხასიათი და ცუდად ექვემდებარება მკურნალობას. ვლინდება შეშუპებით, ძლიერი ტკივილი და წვის შეგრძნებით. შეშუპება ვრცელდება ქუთუთოებზეც.

მწვავე ნამლისმიერი კონიუნქტივიტი

რაიმე პრეპარატის შეყვანის შემდეგ ვითარდება 6 საათში ლორწოვანის შეშუპება, წვა, ტკივილი.

გაზაფხულის კატარი

მზეზე გასეირნებისას ბავშვებს ეწყებათ სინათლის შიში და ცრემლდენა, რაც დაკავშირებულია მზისან მომავალი ულტრაისფერი სხივების მიმართ ჰიპერმგრძნოებლობაზე.

პოლინოზი

ვითარდება ზემგრძნობელობით მტვერზე, ვლინდება სხვა ალერგიულ გამოვლინებებთან ერთად როგორიცაა ცემინება, ცხვირის გაჭედვა, ხველება. ახასიათებს სეზონურობა და განმეორებადობა.

დიაგნოზის დადგენა შეუძლია მხოლოდ კვალიფიცურ ოფთალმოლოგს ჩივილების, კლინიკური გამოვლინების, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე.

კონიუნქტივიტის გამომწვევის და მისი წამლისმიერი მგრძნობელობის დასადგენად სასურველია ნაცხის აღება თვალიდან. აგრეთვე ინიშნება სისხლის ანალიზი, კანის სინჯები და იმუნოლოგიური გამოკვლევა ალერგენის დასადგენად.

როცა შეამჩნევთ კონიუნქტივიტის დასაწყისს, გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ დაუხასიათებთ ექიმს დაავადების გამოვლინებას.

ბავშვის თვითმკურნალობა დადებითი ეფექტის გარეშე არ უნდა გრძელდებოდეს 2-3 დღეზე დიდხანს. დადებითი ეფექტის არარსებობის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

ხშირად კონიუნქტივიტი იწყება ერთ თვალზე, მაგრამ წვეთების ჩაწვეთება უნდა დაიწყოთ ორივე თვალში. ჯერ ჯანმრთელ თვალში და შემდეგ დაავადებულში.

თვალში მტვერის, ქვიშის მოხვედრისას არ მოისრისოთ თვალი. საჭიროა, კარგად ჩამოიბანოთ.

თვალის ახვევა დაუშვებელია, რადგან ახვეულ თვალში იქმნება პირობები მიკრობების გამრავლებისათვის.

გამოცვალეთ ბალიშისპირი და პირადი პირსახოცი ყოველ დღე. გარეცხეთ სათამაშოები რომლითაც თამაშობს ბავშვი.

აუცილებელია თვალების დაბანა გვირილის ნაყენით, მაგარი ჩაით, ფურაცილინით ან ბორის მჟავის ხსნარით. თითოეული თვალი ცალ-ცალკე ბამბის ტამპონით თვალის გარეთა კუთხიდან შიდა კუთხისკენ. გამონადენი ერთი თვალიდან მეორეში არ უნდა მოხვდეს.

წამწამებზე მიმშრალი ქერქები უნდა დავალბოთ და შემდეგ მოვაცილოთ, რათა ავიცილოთ ქუთუთოების კიდეების დაზიანება. ამგვარი გაწმენდა ანთების დასაწყისში უნდა მოხდეს 5-6-ჯერ დღეში, შემდგომში კი 2-3-ჯერ დღეში.

ბაქტერიული კონიუნქტივიტის შემთხვევაში ვიწყებთ ანტიბაქტერიული წვეთების ჩაწვეთებას. წამლების მიმართ მგრძნობელობის განსაზღვრამდე ნაცხში ინიშნება ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები და ანტისეპტიკური წვეთები. ანტიბიოტიკები ინიშნება 4-6-ჯერ დღეში. დაუშვებელია ჩაწვეთების სიხშირის თვითნებური შემცირება.

ვირუსული კონიუნქტივიტის შემთხვევაში რეკომენდირებული ანტივირუსული პრეპარატები.

ნაცხის ანალიზის არსებობის შემთხვევაში მკურნალობა უკვე მიმართულია კონკრეტული გამომწვევისაკენ და მკურნალობის ტაკტიკა შეიძლება შეიცვალოს. არსებობს ფართო ასორტიმენტი წამლებისა, რომელიც მოქმედეს კონკრეტულ გამომწვევზე და არ აზიანებს მთელ მიკლოფლორას.

ალერგიის გამოსავლენად საჭიროა მთელი რიგი გამოკვლევები: სისხლის ანალიზი, იმუნოლოგიური ანალიზი, კანის სინჯი ალერგენებზე, გამოკვლევა დისბაქტერიოზზე, ქრონიკულ ინფექციებზე, პარაზიტებზე.

მკურნალობა იწყება აღმოჩენილ ალერგენთან კონტაქტის აღმოფხვრით. ულტრაიისფერი სხივების მიმართ ჰიპერმგრძნობელობაზე აუცილებელია მზისგან დამცავი სათვალეები, მზეზე ყოფნის დრო უნდა შემცირდეს.

გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში უნდა გამოვიყენოთ შემდეგი ანტიჰისტამინური წვეთები და ტაბლეტები.

მკურნალი მუნიმა

ბაბუაწვერა

საქართველოს თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული, როგორც მაღალმთიანეთში, ისე დაბლობში.

ნედლეულად იყენებენ ბაბუაწვერას ფესვებს. მათ გვიან შემოდგომით, ფოთლების ჭკნობის ფაზაში თხრიან ნიჩბებით, მიწას ჩამობერტყავენ, შემოაჭრიან ფოთლების ნარჩენებს, ფესვის წვეროს, გვერდით წვრილ ფესვებს, რეცხავენ ცივ წყალში და ტოვებენ ჰაერზე რამდენიმე დღე, სანამ არ შეწყდება მისგან რძეწვენის გამოყოფა.

ხალხურ მედიცინაში ბაბუაწვერას ფესვების ნაყენს იყენებენ კუჭ-ნაწლავის მოქმედების გასაუმჯობესებლად, როგორც მადის მომგვრელ, ნაღვლის სადენ საშუალებას. იყენებენ აგრეთვე ბუასილის სამკურნალოდაც.

ბაბუაწვერას ფესვებს აქვთ სიცხის დამწევი და ოფლმდენი მოქმედება. მისგან დამზადებულ ნაყენს სვამენ ძირმაგარების, ფერისმჭამელების და კანზე გამონაყარის დროს. ბაბუაწვერას რძეწვენს ისვამენ კოჟრებზე და მეჭეჭებზე.

ბაბუაწვერას ფესვების ნაყენის მოსამზადებლად 10 გრამი დაქუცმაცებული ფესვები (1 სუფრის კოვზი) მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური, ჩადგით მდუღარე წყლის აბაზანაში, ადუღეთ 15 წუთი, ხშირად ურიეთ. შემდეგ გააცივეთ 45 წუთის განმავლობაში. გადაწურეთ, დარჩენილი მასა გამოწურეთ, შეავსეთ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის (200 მლ-მდე) მიღებამდე. შეინახეთ გრილ ადგილზე არაუმეტეს 2 დღე-ღამისა.

ნაყენი რეკომენდირებულია მიიღოთ თბილი სახით 1/3 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ 15 წუთით ადრე.

კუჭ-ნაწლავის დაავადების, მეტეორიზმისა და ბუასილის დროს ნაყენი დაამზადეთ შემდეგნაირად: 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი, დადგით 8 საათის განმავლობაში, გადაწურეთ, მიიღეთ 1/4 ჭიქა 2-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ბულგარულ ხალხურ მედიცინაში ბაბუაწვერას ფესვებს ხმარობენ ათეროსკლეროზის დროს.

საფრანგეთსა და იტალიაში ბაბუაწვერას ფოთლებისაგან ამზადებენ სხვადასხვა სახის სალათებს, მათ იყენებენ როგორც საერთო გამამაგრებელ საშუალებას.

როგორ მოვირჩინოთ კუნთების დაჭიმვა

1. დაიდეთ თიხის საფენები ვაშლის ძმრის დამატებით. იგი კურნავს მყესების გაჭიმვას და ამაგრებს ძვლებს, მაგალითად, ოსტეოქონდროზის დროს. ჩვეულებრივ თიხის საფენებს დღეში ერთხელ აკეთებენ, მაგრამ ექსტრემალურ შემთხვევებში შეიძლება პროცედურის ორჯერ ან სამჯერ გაკეთებაც.

2. შევიხვიოთ წინაკადამატებულ, განუზავებელ ვაშლის ძმარში დასველებული საფენით. ამასთან, წიწკა უნდა ჩავყაროთ არა უშუალოდ ძმარში, არამედ მოვაყაროთ საფენს, თანაც იმ მხარეს, რომელსაც ადებთ დაზიანებულ ადგილს. პროცედურის დრო 5-10 წუთია. რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე გავიმეოროთ. ჩვეულებრივ სამკურნალოდ საკმარისია 2-3 პროცედურის ჩატარება.

3. შევიხვიოთ განუზავებელი ვაშლის ძმრით, რომელშიც ჩამატებულია ჩვეულებრივი სუფრის მარილი და იოდი. ამ ხერხს ჩვეულებრივ სპორტსმენები იყენებენ. თუ კუნთის გაჭიმვა გამმოწვეულია ნაკაწრებით ან ნაჭდევებით და ამის გამო ჩნდება ეჭვი, რომ ვაშლის ძმარი ავნებს ნაჭრილობევს – ნუ შეშინდებით. ნებისმიერი ჭრილობა შეიძლება გამოირიცხოს განზავებული ან განიზავებელი ვაშლის ძმრით. იგი დეზინფექციას უკეთებს ნაჭრილობევზე და კარგად მოქმედებს სისხლის შედედების უნარზე.

ასტროპროგნოზი

7 ოქტომბრისათვის

ვერძი – ოჯახური ურთიერთობები კონფლიქტურია. აგრესია სრულ კრახს გამოიწვევს. საყვარელ ადამიანებს მეტი სითბო აჩუქეთ. **კურო** – თქვენი გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ, შესაძლოა, მათ განხორციელებას ვინმემ ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუშალოს. **ტყუპები** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. ეცადეთ, ემოციები არ გამოავლინოთ. **კირჩხიბი** – მზად იყავით არასასიამოვნო მოულოდნელობისათვის. ოჯახის წევრებთან პრინციპულობა არ ივარგებს. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. საქმიან პარტნიორს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. **ქალწული** – დღე, სავარაუდოდ, მძიმე იქნება. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **სასწორი** – მთლიანობაში, წარმატებული პერიოდია. სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტა მოგიწევთ. ახალი ნაცნობობა იღბლიანი იქნება. **ღრიანკალი** – ძალზე აქტიური და საქმიანი დღეა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, დიდ წარმატებებს მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ სიცრუეს, რაც, შესაძლოა, კონფლიქტის მიზეზი გახდეს. თქვენს საქმეში სხვას ნუ ჩარევთ. **თხის რქა** – უსიამოვნო ინფორმაცია ცუდ გუნებაზე დაგაყენებთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეცვლებათ. **მერწყული** – ოჯახში ფსიქოლოგიური კლიმატი მთლიანად თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ემოციები და საუბრის მანერა აკონტროლეთ. **თევზები** – დაისვენეთ, მიიღეთ სრულფასოვანი საკვები, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ერიდეთ ყოველგვარ ნეგატივს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. ყველისგულიანი ქართული კეცეული; 3. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 4. იაპონელი მოდელიორი; 5. სამეფო საგვარეულო; 8. აჭარული ცეკვა; 12. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. უბანი თბილისში; 16. ერთწლიანი მარცვლეული მცენარე; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 20. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

თარაზულად: 6. ძმრით, ფქვილით, ხახვითა და ათქვეფილი კვერცხით შეზავებული მოხარშული ქათმის წვნიანი კერძი; 7. სკანდინავიელი პოეტი-მომღერლები ძველად; 8. ჩქარტემპიანი უკრაინული ხალხური ცეკვა; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10 წითელი ფერის, მშრალი, ქართული სამარკო ღვინო; 11. კოსოვოს დედაქალაქი; 15. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 17. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 22. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 23. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბობი; 2. კუკია; 3. გვარლი; 5. კოლიე; 6. ნორვეგია; 8. კონსილიუმი; 10. ლიქიორი; 12. პარტერი; 14. აპნისი; 15. მანილა; 16. სქური.

თარაზულად: 1. ბესიკი; 4. ოკარინა; 7. ტეკილა; 9. ლაზები; 11. ენერგია; 12. პრობაცია; 13. მიზერი; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. არიფანა; 2. ბადაგონი; 3. ვიტესი; 4. ტუსკი; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. ევროპა; 16. ბაგიათი; 18. ზურნა; 20. მუზა.

თარაზულად: 8. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. სარკე; 10. კომბაინი; 11. უორდროპი; 15. აკრედიტივი; 17. ლაზიკა; 19. პრიმატორი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. ყარსაღი.

გრიბოედოვის თეატრი სეზონს ახალი სპექტაკლით გახსნის

7 ოქტომბერს გრიბოედოვის თეატრი 171-ე სეზონს გახსნის.

„გაყინული სურათები“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომლის ჩვენებაც თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში შედგება.

სპექტაკლი გრიბოედოვის თეატრის კოპროდუქციაა ფინურ თეატრალურ კომპანიასთან. სპექტაკლის რეჟისორია იარი იუტინენი, პიესის ავტორი კრისტიან სმედსი. სპექტაკლში მონაწილეობენ შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გრიბოედოვის თეატრის სამიზნე ჯგუფის, ავთანდილ ვარსიმაშვილის სახელოსნოს სტუდენტები ქრისტინე ბერუაშვილი, ხატია ბერუაშვილი, მიხეილ გავაშელი, დავით კოტოვი, დემეტრე ნაყოფია, ვლადიმერ ნოვოსარდოვი, სოფი ჩალაშვილი და გვანცა შარვაძე.

„გაყინული სურათები“ უბრალო ამბავია. სასოწარკვეთა, სულიერი განცდა, გულგრილობა, დაკარგული წლები და ამაოებაში ცხოვრების აზრის ძიება, ყველაფერს ერქმევა თავისი სახელი. ეს არის ამბავი სიყვარულზე, რომელიც ყველაფერზე ძლიერია.

9 ოქტომბერს სპექტაკლი „გაყინული სურათები“ საგასტროლოდ ფინეთში მიემგზავრება, სადაც ჰელსინკის სამ თეატრში იქნება ნაჩვენები.

ნიკა გვარამია ცისანა სეფიაშვილზე: „ცისანას 41-მდე თვლა სცოდნია“

გუშინ, 6 ოქტომბერს, კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის შვილმა, ცისანა სეფიაშვილმა, სოციალურ ქსელში მოკლე განცხადება გააკეთა:

– რუსთავი 2 „ქართულმა ოცნებამ“ დაამარცხა ანგარიშით 41:5.

ცისანას განცხადება უკომენტაროდ არ დაუტოვებია რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას:

– ეს რომ ბოდვაა და „ქართული ოცნება“ უზრდელი, უვიცი, ბნელი, უპასუხისმგებლო და არასერიოზული გამოჩნდა, ახალი სახეები კი სრულიად ტყემალზე სხედან და არცერთი არაფრის აზრზე არაა საერთოდ და ყველა ერთად კიდევ ნერვული აშლილობის ზღვარზეა, ეგ იქით იყოს.

მე ის გამიკვირდა, ცისანას 41-მდე თვლა რომ სცოდნია.

თეატრალურის პირველკურსელები მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში ფიცს დადებენ

ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში, პირველკურსელთა ფიცის დადების რიგით მეცხრე სიმბოლური რიტუალი 7 ოქტომბერს გაიმართება.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელები საზეიმოდ დადებენ ფიცს.

ცერემონიაზე სტუდენტები დადებენ ფიცს, რომ ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს და, როგორც პროფესიონალები, დაიცავენ ქართული ეროვნული კულტურის ტრადიციებს. ფიცის ტექსტს სტუდენტები და უფროსი თაობის მსახიობები ერთხმად წაიკითხავენ.

ცერემონიას დაესწრებიან თეატრალური სფეროს სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, სტუდენტები კი მათგან რჩევებსა და მილოცვას მიიღებენ. თეატრალურ სამყაროში მოღვაწეობის დაწყებას ახალბედა მსახიობებს ცნობილი და ყველასათვის საყვარელი მსახიობები სიმბოლურად, სახეზე გრიმის ცხებით მიულოცავენ.

ნათლობის ღონისძიებაზე სტუდენტები ეტიუდებს, ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ნომრებს წარმოადგენენ.

ნიანგმა ავსტრალიელი მოზარდი დაკბინა



მტკნარი წყლის ნიანგი 14 წლის კემერონ ტიმსს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის ოჯახის წევრებთან ერთად ავსტრალიის კიმბერლის ოლქის ერთ-ერთ წყალსატევში ბანაობდა. აღნიშნული ინციდენტის ამსახველი ვიდეორგოლი სოციალურ ქსელ ფეისბუქში იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეორგოლში, რომელიც 21 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა, მეტრ-ნახევარი სიგრძის მტაცებელი წყალში მყოფ ადამიანებს, რომლებიც არაფერს ეჭვობენ, რამდენიმე სანტიმეტრში ჩაუვლის და შემდეგ ვიდეო წყდება.

– ამას მხოლოდ ბანაობის შემდეგ მივხვდით, თან მქონდა ექშენ-კამერა, მინდოდა, წყალქვეშ რაიმე საინტერესო გადამეღო და ნიანგი გადავიღე, – განუცხადა ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებს კემერონის მამამ მარკ ტიმსმა.

მისი თქმით, ბავშვმა ორი არცთუ ღრმა ნაჩხვლეტი ჭრილობა მიიღო, ნიანგის კბილების კვალი იდაყვსა და მუცელზე.

– ჩვენი აზრით, ეს ყოველივე შემთხვევით მოხდა, – დაამატა ოჯახის უფროსმა და იქვე განმარტა, რომ საერთოდ მტკნარი წყლის ნიანგი ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩინეთში ილუზიონისტებმა რეკორდი დაამყარეს

ჩინეთში ილუზიონისტი თავის თანაშემწესთან ერთად გინესის რეკორდების წიგნში მას შემდეგ მოხვდა, რაც მათ ერთ წუთში ტანსაცმლის გამოცვლის ყველაზე მეტი რაოდენობა შეასრულეს მსოფლიოში. ამ მიღწევის ვიდეოჩანაწერი, რომელიც ჩინეთის პროვინცია ჰუბეიში მდებარე გასართობ პარკშია გადაღებული, იუთუბიზე გინესის რეკორდების წიგნის არხზე იქნა განთავსებული და ის უკვე 710 ათასმა ადამიანმა ნახა.

ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში ნათქვამია, რომ მალაიზიური წარმოშობის წყვილმა ერთ წუთში 19 სხვადასხვა კოსტიუმის გამოცვლა მოახერხა. ამგვარად მათ ადრინდელი რეკორდი მოხსნეს, რომელიც 17-ს შეადგენდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ჩელსის ლეონარდო ბონუჩის ყიდვა სურს

ლონდონის ჩელსი დაცვის ხაზის გაძლიერებას ცდილობს. ეს განსაკუთრებით ცენტრალურ ზონას ეხება, სადაც ლონდონელებს აშკარა პრობლემები აქვთ.

ჩელსის მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს დიდი სურვილი აქვს, იუვენტუსის ცენტრალური მცველი ლეონარდო ბონუჩი გადმოიბიროს, რომელთან ერთადაც კონტე ჯერ კიდევ იუვენტუსში მუშაობდა.

ჩელსი ამ ტრანსფერისთვის ფულს არ დაიშურებს. ლონდონელები ბონუჩიში 68 მილიონ ფუნტი სტერლინგს იხდიან.

ბონუჩის ყიდვა მანჩესტერ სიტისაც სურდა, მაგრამ ამ ტრანსფერზე უარი თვითონ ფეხბურთელმა თქვა და იუვენტუსში დარჩენა ამჯობინა, სადაც 2010 წლიდან თამაშობს.

ბარსელონა ალეშ ვიდალის გაყიდვას აპირებს

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ ალეშ ვიდალის გაყიდვა განიზრახა, რადგან ვიდალი მის გეგმებში არ შედის.

ლუის ენრიკემ ბარსელონის ხელმძღვანელობას უკვე მიმართა თხოვნით, თუმცა ვიდალის გაყიდვა შესაძლოა არცთუ იოლი აღმოჩნდეს, რადგან მის მყიდველს სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს.

ალეშ ვიდალი ბარსელონამ 2015 წლის ზაფხულში შეიძინა და მასზე კატალონიურ გუნდში დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მან ეს იმედები ვერ გაამართლა და ზამთარში ის, სავარაუდოდ, ბარსელონას დატოვებს.

ვიდალი, ალბათ, ესპანეთში დარჩება, რადგან მისით რამდენიმე ესპანური გუნდია დაინტერესებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ელგუჯა (ბუბა), მარინა, ციცო, შვილიშვილები თორნიკე, მიხეილ, მარიკა, ლიკა, გიორგი მწუხარებით იუწყებიან

შალვა (ხიტა) ქებურიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 7, 8 ოქტომბერს, შემოსავლის შესახვევი (პრეზიდენტის რეზიდენციასთან) №12.

გამოსვენება: 9 ოქტომბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

პარასკევი 7 ოქტომბერი

06.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" **07.00** დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. რა არის ამერიკის ქვეშ" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოანლეები**" **12.20** მხ/ფ "**არჩევანი**" (ჟ.ბისე) **14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **15.00, 21.30** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. კაცობრიობის განვითარება" **22.30** მხ/ფ "**მას სიკვდილი უნდება**" (გ.ჰოუნი) **00.10** მხ/ფ "**ტყავის ჩაფხუტიანები**" (რ.ზელვეგერი) **02.10** მხ/ფ "**სიყვარული მოულოდნელად გეწვევა**"

08.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ეკვლელობა 101**" **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩინგო ვეტრინე**" **14.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **20.00** "მოამბე" **21.00** "არჩევნები **2016**" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.35** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** ს დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ღია ეთერი –თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**პატრიოტთა თამაშები**" **01.35** მხ/ფ "**მონობა**" **03.50** მხ/ფ "**ვირთხების რბოლა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** დ/ფ "საყდრისის საიდუმლო" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **21.30** არჩევანი - **2016 22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.15 კვირიაკე **07.20** დ/ფ "წმ. მოწამე დიმიტრი ყიფიანი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 01.00** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **10.50** მოკ. მხ/ფ "**აპრილი**" **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **15.45** კონცერტი **16.10** ღვთის სახლი **16.40** მიწათმოქმედი "გმო (გენმოდიფიცირება)" **17.00** ჩვენი საგანძური **17.40** ამბიონი-ლიტიის შემდგომი ლოცვები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **20.40** ძილი ნებისა "მე წვიმად მოვალ" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ანჩისხატის ტაძარი" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა "სოფ.ბაზალეთი, ჩირდიანთკარი, მჭადიჯვარი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი"**7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05, 13.00** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.10** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 3.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **19.00** "კონტაქტი" **19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.45** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "მაესტროს ფაქტორი" **22.55** "აკრედიტაციის გარეშე" **23.20** სერ. "**ესპობარი**" **1.00** მხ/ფ "**მეჯვარე**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3341

ევრო — 2.62

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9685

100 რუსული რუბლი — 3.7375

ამინდის პროგნოზი 7 ოქტომბრისთვის

4 ოქტომბრიდან

ღვინის დაგემოვნება

მაგარი ყდა 208 გვერდი ფორმატი 17/22,5

„პრაქტიკული კურსი – ღვინის დაგემოვნება“ დაგეხმარებათ, აღმოაჩინოთ მსოფლიოს საუკეთესო ღვინოები; გაიგოთ, სურნელისა და არომატის როგორი ბუკეტი ახასიათებს ამა თუ იმ ღვინოს და რას ნიშნავს ღვინის სხეულიანობა, სიღრმე, სიხალასე თუ სისავსე.

აქვე ქართული ღვინოების შესახებაც იპოვით ინფორმაციას და წაიკითხავთ მსოფლიოში უნიკალური, ქვევრში ღვინის დაყენების ძველი ქართული მეთოდის შესახებ.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

11 ოქტომბრიდან

ელისი საოცრებათა ქვეყანაში

ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით



ინგლისელი მათემატიკოსისა და მწერლის ლუის კეროლის ზღაპარი „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ პირველად 1865 წელს გამოიცა და დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ერიკ კინკეიდის შესანიშნავი ილუსტრაციებით გაფორმებული ეს ზღაპარი დაუვიწყარ მოგზაურობას გპირდებათ საოცრებათა ქვეყანაში.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

18 ოქტომბრიდან

ოლივერ ტვისტი

ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით

ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

დონარუმამ მილანსა და ბუფონზე ისაუბრა

მილანის 17 წლის მეკარე ჯანლუიჯი დონარუმამ თავის მომავალსა და კერპზე, ბუფონზე ისაუბრა.

დონარუმას თქმით, მილანში ის თავს ბედნიერად გრძნობს და მზად არის, ამ გუნდში კიდევ არაერთი წელინადი გაატაროს.

ახალგაზრდა გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონზეც ისაუბრა და თქვა, რომ ის ყურადღებით აკვირდება ბუფონის ყველა მოძრაობას და ცდილობს, მისგან ბევრი რამ ისწავლოს.

დონარუმა მილანის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მეკარეა და მას ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ბუფონმა ასევე აღნიშნა, რომ მომავალში დონარუმა იტალიის ნაკრების პირველი მეკარე გახდება.

იუმორი

ოჯახი სადილობს, უცბად კაცს ჩანგალი გადაუვარდა მაგიდიდან, მაგრამ მან მოასწრო და იატაკზე დაცემამდე დაიჭირა. მერე მეუღლეს გადახედა და ეუბნება:

– კიდევ კარგი, თორემ სტუმარი გვეყოლებოდა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. კაცმა გააღო, იქ კი მეზობელი დგას და ეუბნება:

– შენი სიდედრია ლიფტში გაჭედილი.

•••

ქუჩაში გვერდით ჩავლილ გოგონებს ბიჭი ეუბნება:

– როგორი სიმპათიურები ხართ გოგონებო.

– სიმპათიურები, არა... – მორცხვად უპასუხეს გოგონებმა.

– კარგით, კარგით, ვიხუმრე.

•••

შვილიშვილი ძილის წინ ბებიას ეხვეწება:

– ბებია, მომიყევი რა, საიდან ჩნდებიან ბავშვები?

– ეგ, შვილო, გრძელი ამბავია და სხვა დროს მოგიყვები.

– სულ დასაწყისი მაინც მომიყევი, რაა...

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, მხოლოდ გელამ შეძლო ჩემში ქალის გამოღვიძება.

– აბა რა, მაგას რომ მაღვიძარა აქვს!..

•••

ქალი კაცს ეკითხება:

– რაზე ფიქრობ, საყვარელო?

– არაფერზე.

– მეც არაფერზე.

– ჰო, შენთვის ადვილია, ტვინი მაინც არ გაქვს და...

•••

თანაკურსელი ბიჭები ლუდს სვამენ. ამ დროს ოთახში აქოშინებული მათი კურსელი გოგონა შემოიჭრა და ეუბნება:

– ვაიმე, ბიჭებო, ისე მოვრბოდი, ისე, რომ ფეხები კინაღამ დავიმტვრიე.

ერთ-ერთმა შეათვალიერა და ეუბნება:

– ჰოო, დამტვრევით არ დაგიმტვრევია, მაგრამ საშინლად გაგღუნვია...

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, მე არ გავთხოვდები და სულ თქვენთან ვიცხოვრებ.

– მამას ნუ ემუქრები!

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, რა მოხდება, რომ გაკოცო?

– შენ რა, ანატომია არ გისწავლია?

– მერე?

– მერე, არაფერიც არ მოხდება!

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

6 ოქტომბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები ჩემი დღე



გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

7 ოქტომბრიდან

ქართული ხალხური ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

მაგარი ყდა, ფერადი გვერდები

მარსელო და ბენზემა მოედანს მალე დაუბრუნდებიან

მადრიდის რეალის ტრავმირებული ფეხბურთელები კარიმ ბენზემა და ბრაზილიელი მარსელო მოედანს მალე დაუბრუნდებიან. ორივე ფეხბურთელს მცირე ტრავმები აწუხებს, რის გამოც მათ რეალის რამდენიმე შეხვედრა გამოტოვეს.

შემდეგ მატჩს რეალი ესპანეთის ჩემპიონატში სტუმრად ბეტისის წინააღმდეგ გამართავს და ამ თამაშში, სავარაუდოდ, მარსელოც და ბენზემაც მოედანზე იქნებიან. ბოლო რამდენიმე შეხვედრა რეალმა ცუდად ჩაატარა. ზინედინ ზიდანის გუნდმა ზედიზედ 4-ჯერ ითამაშა ფრედ, რაც მადრიდელებისთვის ცუდი შედეგია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მტაცებელი ფრინველი; 2. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 3. ხელოვნური არხების სახელწოდება ჰოლანდიაში; 4. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 6. ბოლესლავ პრუსის რომანი; 9. სპირტიანი სასმელი; 11. უცნაური, სასაცილო, სასეირო შემთხვევა, ამბავი; 15. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 16. დამატებითი ჯილდო, პრემია; 17. კორიდის ცხენოსანი მონაწილე; 19. შინაგანი ბიძგი, მისწრაფება რაიმე მოქმედების შესასრულებლად; 21. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 22. მდინარე ციმბირში.

თარაზულად: 5. ქართველი დრამატურგი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. მარცვლეულის დამხარისხებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 12. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 14. სურსათ-სანოვაგის ბაზარი ძველ თბილისში; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 20. ხარებთან ორთაბრძოლა; 23. პურეული მცენარე; 24. მდგომარეობა ჭადრაკში; 25. ისრაელის დაზვერვა; 26. დედალი ჯიხვი; 27. ტროპიკული ხილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა